გაზეთი ზიჟრიას, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№24 (1714) 7 — 13 აგვისტო ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„რა გინდათ, თავი მოვიკლა?!“

როგორ ცდილობდა ქმარი ცოლის ბიზნესის გაკოტრებას

„გიჟ თამარა“ და „პოლიტიკური სუტენიორი“

რა ხდება ევროპულ საქართველოში და რატომ დატოვეს პარტია ბოკერია-ჩერგოლეიშვილმა

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 9 წლის იუბილე აღნიშნა

აგვისტოს ომის კოშმარული ქრონიკები

რა ხდებოდა 16 წლის წინ საქართველოში – ყველაფერი ის, რაც არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს

აჭარის პოლიციამ ქობულეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 4 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1964 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად, ა.ბ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ოზურგეთის რაიონული პროკურატურის თანამშრომლების მიერ, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ორი პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე დაკავებულია 1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ი., მეტსახელად – „ჯავა“, ხოლო „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის“ ფაქტზე – 2001 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ნ.ყ.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაზარალებულმა ც.მ.-მ, ერთ-ერთი ონლაინ-კაზინოს მეშვეობით, დიდი რაოდენობით თანხა მოიგო, რაც ცნობილი გახდა ბრალდებულებისთვის. გ.ი.-მ და ნ.ყ.-მ, მატერიალური სარგებლის მიღებისა და „ქურდულ სამყაროში“ ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, განიზრახეს ც.მ.-სთვის „ქურდული გარჩევა“ მოეწყოთ, რომელსაც ესწრებოდა მისი ნათესავი რ.ა.

ერთ-ერთმა ბრალდებულმა გ.ი.-მ, საქმეში ჩართო „კანონიერი ქურდი“ დ.ე. და „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ც.მ.-ს განსაზღვრულ დროში 5 000 ლარის გადახდა დააკისრეს, რომელიც შემდგომ რ.ა.-მ გადაიხადა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამაზე რეგისტრაცია დაიწო

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ინიციატივით, მიმდინარე წლის სექტემბრიდან, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში ოთხთვიან ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 200 პირს შესაძლებლობა ექნება, ანაზღაურებადი სტაჟირება გაიაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში, 14 სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- სამართლის მიმართულებით – 123 პოზიციაზე;
- ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით – 8 პოზიციაზე;
- ფინანსების მიმართულებით – 16 პოზიციაზე;
- ეკონომიკის მიმართულებით – 5 პოზიციაზე;
- კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით – 8 პოზიციაზე;
- ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებით – 4 პოზიციაზე;
- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით – 4 პოზიციაზე;
- სოციალური მეცნიერებების მიმართულებით – 2 პოზიციაზე;
- მათემატიკისა და სტატისტიკის მიმართულებით – 3 პოზიციაზე;
- ფსიქოლოგიის მიმართულებით – 3 პოზიციაზე;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით – 7 პოზიციაზე;
- უცხო ენების მიმართულებით – 2 პოზიციაზე;
- არქიტექტურის, ინჟინერიის, მშენებლობის, მშენებლობის ინჟინერიის, საინჟინრო ფიზიკის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, საინჟინრო ლოგისტიკის, გარემოს ინჟინერიის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების ინჟინერიის მიმართულებით – 11 პოზიციაზე;
- სხვა ნებისმიერი უმაღლესი განათლების მიმართულებით – 4 პოზიციაზე.

სტაჟირების მსურველებს განაცხადის წარდგენა 2-დან 8 აგვისტოს ჩათვლით შეეძლებათ https://hr.gov.ge -ის მეშვეობით.

სტაჟიორად შეიძლება მიღებული იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე; ან სწავლობს მაგისტრატურის საფეხურზე; ან დასრულებული აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრების (GPA) მაჩვენებელი და ქულათა სისტემა. გასაუბრებისას უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს.

სტაჟირების მსურველმა უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სამოტივაციო წერილი და ინფორმაცია სწავლის ეტაპის ან დასრულების და აკადემიური მოსწრების შესახებ.

კონკურსი ორ ეტაპად წარიმართება – საბუთების გადარჩევა და გასაუბრება. სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის სტაჟიორად შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შეფასებაზე უფლებამოსილი კომისია.

ანაზღაურებადი სტაჟირების ბმული – https://hr.gov.ge/?vacancynum=47

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 9 წლის იუბილე აღნიშნა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, მისი დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრებსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს სიტყვით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა მიმართეს.

სიტყვით გამოსვლისას, გრიგოლ ლილუაშვილმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს გაწეული სამუშაოსა და ძალისხმევისთვის – უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვნად გაზრდილი საფრთხეების ფონზე. სამსახურის უფროსმა განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ.

გრიგოლ ლილუაშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას მხარდაჭერისთვის, რომელსაც სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში გრძნობს.

გრიგოლ ლილუაშვილი:

„დღეს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსებიდან 9 წელი გავიდა. მინდა, ეს მნიშვნელოვანი თარიღი, უპირველეს ყოვლისა, მივულოცო უსაფრთხოების სამსახურის პირად შემადგენლობას. რა თქმა უნდა, ფასდაუდებელია იმ მოსამსახურეთა ღვაწლი სახელმწიფოს წინაშე, რომელთაც თავი გაწირეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ყველას, განსაკუთრებით კი ამ დარბაზში მსხდომთ, კარგად მოგეხსენებათ, რა ვითარებაა მსოფლიოსა და რეგიონში. როგორი ფეთქებადსაშიშია ვითარება და რა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხები დევს სასწორის პინაზე. რუსეთ-უკრაინის ომი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ახლო აღმოსავლეთი, საერთაშორისო ტერორიზმი, და ა.შ. სწორედ, ამ საფრთხეების ფონზე გვიწევს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამსახურის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და ხაზგასმით აღნიშნა მათი განსაკუთრებული როლი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

„საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, შეინარჩუნოს მშვიდობა, მიუხედავად სერიოზული წნეხისა და ზეწოლისა, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სავარაუდოდ, კვლავაც გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ საქმეში მომავალშიც განსაკუთრებულ როლს შეასრულებს. ბატონო გრიგოლ, ბატონო ოფიცრებო, მინდა, კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ განსაკუთრებული მადლობა გაწეული სამსახურისთვის და გისურვოთ წარმატებები. საქართველოს მთავრობის სახელით, გპირდებით სრულ თანადგომას“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შალვა პაპუაშვილი:

„სამსახურის წარმომადგენლები საქმის მცოდნე, გამოცდილების მქონე და სამშობლოს მოამაგე ადამიანები ხართ და ქმნით გუნდს, რომელსაც სწორი ღირებულებები და წრფელი დამოკიდებულებები აქვს. თქვენ, ხშირად, ჩვენი თვალთახედვის არეალს მიღმა მუშაობთ, რათა საქართველოს ეროვნული ინტერესები დაიცვათ და ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველჰყოთ. იმის მიუხედავად, რომ თქვენი ძალისხმევა არ არის ყოველდღიურად ხილვადი, ეს შრომა ჩვენს დიდ პატივისცემას იმსახურებს. საქართველოს პარლამენტის სახელით, ვადასტურებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელების მზაობას. ასევე, მზად ვართ, შევუწყოთ ხელი უსაფრთხოების სამსახურის მუდმივ განვითარებასა და გაძლიერებას, რათა მისმა თანამშრომლებმა ყოველთვის შეძლონ, სათანადოდ გაუმკლავდნენ მზარდ ჰიბრიდულ საფრთხეებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს გულითად მადლობას გიხდით“.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გმირულად დაღუპულ სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომელთა ხსოვნას.

დასასრულს, გრიგოლ ლილუაშვილმა გაწეული სამსახურისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები პირველი ხარისხისა და საპატიო მედლებით დააჯილდოვა. სხვადასხვა სახის ჯილდო გადაეცა სამსახურის 380 თანამშრომელს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, სხვადასხვა დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის განვითარებასა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, სამსახურის პირველი ხარისხის მედლით დააჯილდოვა გენერალ-ლეიტენანტი ვახტანგ გომელაური, გენერალ-ლეიტენანტი ვახტანგ ქუთათელაძე და გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ტაბატაძე.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ტაბატაძე, უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსებიდან 9 წლის აღსანიშნავად, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ბაზაზე, საჩვენებელ-საწვრთნელი ღონისძიება და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა მებრძოლებს პროფესიული დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა გაწეული სამსახურისთვის.

საჩვენებელი წვრთნა, სპეცტექნიკისა და სპეციალური საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით, მოიცავდა კონტრტერორისტული ოპერაციების სხვადასხვა კომპონენტს. გამოყენებული იყო რამდენიმე ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი და ვერტმფრენი.

ღონისძიების მონაწილეებმა პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გმირულად დაღუპულ თანამშრომელთა ხსოვნას.

დასასრულს, გრიგოლ ლილუაშვილმა მებრძოლები დააჯილდოვა სამკერდე ნიშნებით – „ღირსეული სამსახურისთვის“ და ამასთან ერთად, სიგელებით.

„გიჟ თამარა“ და „პოლიტიკური სუტენიორი“

ნინო დოლიძე

რა ხდება ევროპულ საქართველოში და რატომ დატოვეს პარტია ბოკერია-ჩერგოლეიშვილმა

ქართული ანდაზაა – „გარეული მოვიდა და შინაური გააგდოო“. აი, სწორედ ასე დაემართათ გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილს. ახლა, იმას არ ვამბობთ, რომ ისინი, რომლებიც პარტიაში დარჩნენ, გარეულები იყვნენ ანუ ევროპული საქართველო, თავის დროზე, ყველამ ერთად დააფუძნა, მაგრამ ბოლო წუთამდე ითვლებოდა, რომ ეს გიგას და უფრო მეტიც, „გიჟ თამარას“ პარტია იყო. სხვათა შორის, ჩერგოლეიშვილი თავად წერს ხოლმე სოციალურ ქსელში, „გიჟ თმარას“ მეძახიანო. ისე, ხმა დადის, რომ პარტიიდან გიგას წამოსვლის საბაბი თუ მიზეზი, სწორედ ცოლი გახდა. და მაინც, რა მოხდა ევროპულ საქართველოში?

„ევროპულ საქართველოს ჰქონდა შანსი, რომ მანკიერი პრაქტიკა შეეცვალა და ალტერნატივა შეეთავაზებინა საქართველოსთვის. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ძალის ლიდერთა ნაწილმა ამ გზას გადაუხვია და სწორედ ამიტომ, ჩვენი გზები იყოფა. მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას, როგორც პარტიის თავმჯდომარე, საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩევლის წინაშე, ამ მდგომარეობაში მყოფი პარტიის წარდგენაზე“, – თქვა გიგა ბოკერიამ ბრიფინგზე, რომელიც პარტიის ოფისის შენობაში არ გაუმართავს.

ევროპული საქართველოდან წამოსული ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ ახალი თავმჯდომარის არჩევნები რიგგარეშედ ტარდებოდა და ეს პარტიის პოლიტსაბჭოს ლიდერის, გიგი წერეთლის ინიციატივა იყო.

მათივე თქმით, წერეთელი თავად აპირებდა, გიგა ბოკერიას წინააღმდეგ კენჭი ეყარა ახალი თავმჯდომარის არჩევნებში.

როგორც გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი ამტკიცებენ, განხეთქილება შიდაპარტიულ პრაიმერიზს მოჰყვა, რომელიც 28 ივლისს გაიმართა.

პრაიმერიზში ორი სია უპირისპირდებოდა ერთმანეთს. აკაკი ბობოხიძე და გიგი წერეთელი მხარს უჭერდნენ პირველ სიას, რომელსაც სათავეში გიგა ბოკერია ედგა, მეორე ნომერი წერეთელი იყო, ჩერგოლეიშვილი – მესამე და ბობოხიძე – მეოთხე.

მეორე სიის სათავეში თამარ ჩერგოლეიშვილი იყო, მეორე ნომრად კი გიგა ბოკერია ეწერა. მასში საერთოდ არ ყოფილან ბობოხიძე და წერეთელი. ამ სიას დაუჭირა მხარი გიგა ბოკერიამაც.

28 ივლისს ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც პარტიის 1900-მდე დელეგატმა მისცა ხმა, 55%-ით გაიმარჯვა პირველმა სიამ, მეორე სიამ კი, შესაბამისად, დელეგატების 45%-ის ხმა მიიღო.

პარტიის წესდების თანახმად, ევროპული საქართველოს საარჩევნო სია, ამ ორი სიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად უნდა ჩამოყალიბებულიყო. საბოლოო ექვსეული კი ასე გამოიყურებოდა:

გიგა ბოკერია, თამარ ჩერგოლეიშვილი, გიგი წერეთელი, აკაკი ბობოხიძე, ვახო კალოიანი, გიორგი ნონიაშვილი.

ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილთან ერთად, პარტია ვახო კალოიანმა და გიორგი ნონიაშვილმაც დატოვეს.

ბოკერია და ჩერგოლეიშვილი ამბობენ, რომ გიგი წერეთელი უკმაყოფილო დარჩა საბოლოო სიაში თავისი პოზიციით – მას გიგა ბოკერიაზე წინ ყოფნა უნდოდაო.

სხვათა შორის, ჩერგოლეიშვილმა პარტიის დატოვების შემდეგ, წერეთელს „პოლიტიკური სუტენიორი“ უწოდა...

პარტიიდან წამოსულების თანახმად, კონფლიქტის მიზეზი იყო ისიც, რომ ბობოხიძისა და წერეთლის ფრაქციამ პრაიმერიზში ხმების 65% ვერ დააგროვა, რაც მათ პარტიის პოლიტსაბჭოზე მისცემდა კონტროლს.

ევროპული საქართველოდან წამოსულები დარჩენილებს იმაშიც სდებენ ბრალს, რომ ამ უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლებმა პარტიის დელეგატებად დაარეგისტრირეს სხვა პოლიტიკური ძალების მხარდამჭერები, როცა წესდება ამას კრძალავდა.

როგორც თამარ ჩერგოლეიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც მისმა გუნდმა დელეგატების ვინაობის გადამოწმება დაიწყო:

„900 დელეგატი რომ გადავუმოწმეთ, აღმოვაჩინეთ, რომ მხოლოდ 56 იყო „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერი. დანარჩენები იყვნენ „ნაცები“, „ქოცები“, „ახლები“ და ა.შ.“

„პრაიმერიზში თავიდან დარეგისტრირდა 2500-მდე ადამიანი ჩვენს სიაში, მეორე სიაში – დაახლოებით, ამის ნახევარი. მე ვფიქრობ, რომ ამან გამოიწვია გარკვეული უკმაყოფილება... ადამიანების კონკრეტულ ჯგუფზე ვერ შევთანხმდით. ამას მოჰყვა უკმაყოფილება, გარკვეული მუქარის შემცველი განცხადება, რომ იქნება ყრილობა და იქნება ცვლილებები. შემდეგ, როცა ვთქვით, რომ იყოს ყრილობა და ცვლილებები, ამას მოჰყვა შემდეგ გიგა ბოკერიას განცხადება“, – თქვა გიგი წერეთელმა „ტვ პირველის“ ეთერში.

კითხვაზე, თუ რატომ დატოვეს პარტია სწორედ მათ და არა მეორე ჯგუფმა, ბოკერია და ჩერგოლეიშვილი ამბობენ, რომ ყოფილ თანაპარტიელებთან თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებელი ჩანდა, შიდაპარტიული დაპირისპირება კი ძალზედ დამაზიანებელი იქნებოდა.

„ახალი ღვინო უნდა ჩაისხას ახალ ტიკებში და ორივე შეინახება“, – დაწერა თამარ ჩერგოლეიშვილმა ბრიფინგამდე რამდენიმე საათით ადრე.

„რომც მოვიგოთ ეს შიდა ბრძოლა, პარტია იქნება ისეთი დასახიჩრებული, რომ ამ პარტიაზე პასუხისმგებლობის აღება, რომ 5%-ს (ბარიერს) გადალახავს და იმ ბრძოლაში შევა, უბრალოდ, უსინდისობაა და ჩვენი ამომრჩევლის მოტყუება“, – განაცხადა უკვე პრესკონფერენციისას.

ცნობისთვის: ევროპული საქართველო 2017 წლის დასაწყისში დაარსდა მას შემდეგ, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ლიდერების ნაწილი გამოეყო – მათ შორის იყვნენ გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და დავით ბაქრაძე.

მაშინ „ევროპულ საქართველოს“ შეუერთდა 27-დან 21 დეპუტატი, ვინც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვდა პარლამენტში – აკაკი ბობოხიძისა და გიგი წერეთლის ჩათვლით.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, სადაც 2017 და 2018 წლების არჩევნებთან შედარებით, პარტიის შედეგი მნიშვნელოვნად შემცირდა, „ევროპულ საქართველოში“ დიდი განხეთქილება მოჰყვა და სხვებთან ერთად, პარტია დატოვეს გიგი უგულავამ და დავით ბაქრაძემ.

გიგა ბოკერია წარსულში ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი იყო, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პოლიტიკაში გადაინაცვლა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა. 2010-2013 წლებში, ის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობას იკავებდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ბოკერია თანამოაზრეებთან ერთად დაუპირისპირდა მიხეილ სააკაშვილს, დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და მის ხმამაღალ კრიტიკოსად იქცა.

გიგა ბოკერიას მეუღლემ, თამარ ჩერგოლეიშვილმა, რომელიც იქამდე ჟურნალისტი და აქტივისტი იყო, 2023 წლის ნოემბერში გამოაცხადა, რომ პოლიტიკაში მიდიოდა და „ევროპულ საქართველოს“ შეუერთდა.

აგვისტოს ომის კოშმარული ქრონიკები

ნინო დოლიძე

რა ხდებოდა 16 წლის წინ საქართველოში – ყველაფერი ის, რაც არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს

რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომიდან 16 წელი გავიდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში, რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტებსა და ქართულ ჯარს შორის საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. ომში რუსეთი ღიად 8 აგვისტოს ჩაერთო.
რუსებისა და ოსების გაერთიანებული სამხედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავი ზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის შემდეგ, ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონი დატოვეს. ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის იმდროინდელი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით, კონფლიქტის მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში, 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, რუსეთმა კი მოსკოვში – 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვები და რუსი ჯარისკაცების თვითნებობები არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში. 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო. 2008 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ინფორმაციით, აგვისტოს ომის დროს დაღუპულია: შეიარაღებული ძალების 168 სამხედრო მოსამსახურე; პოლიციის 16 თანამშრომელი; 188 მშვიდობიანი მოქალაქე.
„ვერსია“ 16 წლის წინანდელი მოვლენების ქრონიკას გთავაზობთ:

1 აგვისტო – გამთენიისას, ცხინვალის რეგიონში, ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რის შედეგადაც ექვსი დაიღუპა, ხოლო 21 ადამიანი დაიჭრა.

2 აგვისტოს ოსი სეპარატისტები ქართულ სოფლებს მთელი ღამე ცხრილავენ. არის მსხვერპლი. საქართველოს ხელისუფლება ოს სეპარატისტებს ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. სეპარატისტები ცხინვალიდან ჩრდილოეთ ოსეთში ქალებისა და ბავშვების ევაკუაციას იწყებენ.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილი რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელს, მარად კულახმეტოვს ხვდება. იაკობაშვილი ოს სეპარატისტებთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ უარს იღებს.

3 აგვისტო – რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. ამავე დღეს, რეგიონს ლტოლვილებით დატვირთული 20 ავტობუსი ტოვებს.

საქართველო მოლაპარაკებებისათვის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მზად არის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მფარველი ანგელოზის დღეს ულოცავს. მისალოცი ბარათი მის უწმინდესობასთან საქართველოში რუსეთის ელჩს, ვიაჩესლავ კოვალენკოს მიაქვს. ვლადიკავკაზში ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარდამჭერი მიტინგი იმართება. ამ დღეს, აფხაზი სეპარატისტები იღებენ გადაწყვეტილებას, სექტემბრიდან, გალში, ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ. სერგეი ბაღაფში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს და ენგურის ხიდს კეტავს.

4 აგვისტო – რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს, როკის გვირაბის სიახლოვეს განახლდა. აფხაზები გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. შეხვედრა 15 აგვისტოს ბერლინში უნდა გამართულიყო. თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი, კოკოითი აცხადებს, რომ იგი „რუსეთის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას არ დაიწყებს“. სეპარატისტთა ე.წ. შს მინისტრი, მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ცხინვალი ცეცხლის გახსნისთვის მზადაა. საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სახელმწიფო მინისტრი, თემურ იაკობაშვილი ახმოვანებს: **„საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ აპირებს“** და ოსურ მხარეს კვლავ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. შეთავაზება კვლავ უპასუხოდ რჩება. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული ბატალიონი საგანგებო მდგომარეობაზე გადადის. კოკოითი ცხინვალიდან აცხადებს, რომ საქართველოს გასანადგურებლად მზადაა.

5 აგვისტო – ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფლების დაცხრილვა განაახლეს. 5 აგვისტოს დილითვე, აფხაზი სეპარატისტები მეორე ფრონტის გახსნაზე იწყებენ საუბარს. რუსეთის სამხრეთ ნაწილიდან ცხინვალისკენ მოხალისეთა ნაკადი მიედინება. სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდებენ. განცხადებას ავრცელებს ეუთო-ც, რომელიც ვითარების დაძაბვაში სეპარატისტებს ადანაშაულებს. ინფორმაცია : **„თემურ იაკობაშვილი 7 აგვისტოს ცხინვალში ჩავა და ბორის ჩოჩიევს შეხვდება“.**

6 აგვისტო – ქართული სოფლები კვლავ იცხრილება. საქართველოს განცხადებით, ქართულმა მხარემ ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა, სამი ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე ღამეს სროლებმა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც, ქართულმა მხარემ სროლები განაახლა. ცხინვალში ჩადის დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დენის კიფი. ცხივნალის მცხოვრებლები გახიზვნას იწყებენ, ხოლო ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვართან მიიყვანა.სოფლები – ნული და ავნევი – ოსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაბომბეს. არის მსხვერპლი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო თათბირი იმართება. მოსკოვი იური პოპოვს 6 აგვისტოს ღამით, თბილისში, **„საქმის ვითარებაში გასარკვევად აგზავნის“.** პოპოვი აცხადებს, რომ იაკობაშვილისა და ჩოჩიევის შეხვედრა რუსული მხარის ხელშეწყობით გაიმართება. ამავე დროს, პოპოვი აცხადებს, რომ **„ცხინვალის რეგიონში, მოვლენათა ძალისმიერი გზით განვითარების შემთხვევაში, რუსეთი განზე ვერ დარჩება“.** ოსი სეპარატისტები 7 აგვისტოს ცხინვალში დაგეგმილი შეხვედრის ვადას სწევენ და შეხვედრის ჩატარებას ქართულ მხარეს 9 აგვისტოს სთავაზობენ.

7 აგვისტო – თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სეპარატისტები განუწყვეტლად ბომბავენ ქართულ სოფლებს – ერედვს, ფრისს, ავნევს, დვანსა და ნულს, ფრონეს ხეობას. ღამით გახსნილი ცეცხლის საპასუხოდ ქართულ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია. თუმცა, მას შემდეგ, რაც სეპარატისტებმა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი – 12-მილიმეტრიანი ქვემეხიდან გახსნეს, ცეცხლი ქართულმა მხარემაც გახსნა. ქართული მხარე აცხადებს, რომ მას **„არა აქვს დაგეგმილი კონფლიქტის ზონაში საგანგებო ზომების მიღება და დიალოგისათვის მზად არის“.** საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო განცხადებით გამოდის – **„ქართული მხარე მაქსიმალური თავშეკავების გამოჩენისათვის მზადაა“.** საქართველოს საგარეო უწყება მოუწოდებს რუსეთს გამოიყენოს თავისი ზეგავლენა სეპარატისტებზე და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა აღკვეთოს. ბაღაფში ე.წ. უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომას იწვევს. სხდომა დახურულია. იური პოპოვმა და თემურ იაკობაშვილმა ცხინვალში შეხვედრის გამართვის შესახებ შეთანხმება ვერ შეძლეს. იაკობაშვილი კონფლიქტის ზონაში მიემგზავრება. კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა იური პოპოვიც. ოსი სეპარატისტების მიერ, ქართული საგუშაგოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცხრილვა გრძელდება. გამუდმებით იცხრილება პატარა ლიახვის ხეობა. სეპარატისტებმა სარაბუკის სიმაღლის დაკავება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იაკობაშვილი, მარატ კულახმეტოვს ცხინვალში, სამშვიდობოთა შტაბში შეხვდა და თბილისში დაბრუნდა. იაკობაშვილისა და კულახმეტოვის შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ათი ჯარისკაცი დაიღუპა. პრეზიდენტის ბრძანებით, ქართულმა მხარემ ცალმხრივი სროლის შეწყვეტა გამოაცხადა.

„კონფლიქტის ზონაში, ამჟამად, სნაიპერული ომი მიმდინარეობს სოფლის მცხოვრებთა წინააღმდეგ და ამ მომენტში ინტენსიური სროლები მოდის არტილერიიდან, ტანკებიდან და ხელსატყორცნი არტილერიული სისტემებიდან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არალეგალურადა შემოტანილი“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, ადგილობრივი დროით 19:10 საათზე, პირდაპირ სატელევიზიო გამოსვლაში. სააკაშვილმა მოუწოდა მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „ნებისმიერ ფორმატში“ და პირობა სამხრეთ ოსეთის სრულ ავტონომიაზე ძალაში დატოვა, ასევე საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა სეპარატისებისთვის, ხოლო საერთაშორისო თანამეგორობობას მოუწოდა მხარეთა შორის მოლაპარაკებებისთვის შუამდგომლობა გაეწია. სააკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებისთვის მიმართავს და ძალადობის ესკალაციის შეჩერებასა და მოლაპარაკებების წარმოებაში დახმარებას სთხოვს. სააკაშვილმა პირდაპირი ეთერით რუსეთის ფედერაციას კიდევ ერთხელ შესთავაზა

დასასრული მე-15 გვერდზე

ბინები და მიწის ნაკვეთები თბილისში, ბაკურიანში, საგურამოსა და ბათუმში

მაკა რუხაძე

ის ახლა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეა, თუმცა პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი გახლავთ. ამის მიუხედავად, სოფო ჯაფარიძე ფართო აუდიტორიამ პანდემიის დროს, სოციალური პლატფორმით – „მედგიდი“ გაიცნო, სადაც კორონავირუსთან დაკავშირებით, სხვადასხვა ადამიანები პროფესიონალი ექიმებისგან საჭირო რჩევებს იღებდნენ. „ვერსია“, სწორედ სოფო ჯაფარიძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

სოფო ჯაფარიძის ქონებრივი დეკლარაცია

თუმცა, ვიდრე პროფესიით ექიმისა და ახლა უკვე პოლიტიკოსის დეკლარაციას განვიხილავთ, შეგახსნებთ, რომ სოფო ჯაფარიძე ექიმების ოჯახში გაიზარდა. ერთ-ერთ ინტერვიუში, თავადვე განაცხადა, რომ დედისა და მამის მხრიდან ოთხი თაობა, ყველა ექიმი იყო და ვერც კი წარმოედგინა, თუ ამის გარდა, სხვა პროფესიაც არსებობდა. სოფო ჯაფარიძის ბაბუა – ვახტანგ ყიფიანი, თავის დროზე, სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ...

კიდევ ერთი დეტალი, რაც სოფო ჯაფარიძეს უკავშირდება, „პოსტივის“ ინფორმაციაა, რომელზე დაყრდნობითაც ირკვევა, რომ გაზაფხულზე, თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის გამოყოფილი ფულით, მან მადრიდში ბინა იყიდა. ამის დასტურად, სოფო ჯაფარიძე და მისი მეუღლე – გიორგი ჭოლაძე, 7 მაისს, მადრიდში იმყოფებოდნენ, – ვკითხულობთ „პოსტივის“ ინფორმაციაში.

ახლა ვნახოთ, ოფიციალურად რა ქონებას ფლობს სოფო ჯაფარიძე. ქონებრივი დეკლარაცია, რომელსაც დღეს განვიხილავთ, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატმა 2024 წლის 30 აპრილს შეავსო. დეკლარაციაში მითითებულია, რომ სოფოს და მის მეუღლეს ჰყავთ სამი ვაჟი – ვანო, ზუკა და ვახტანგ ჭოლაძეები.

დეკლარაციის მიხედვით, სოფო ჯაფარიძის 100%-იან საკუთრებაშია 56.8 კვ.მ. ფართობის ბინა ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, რომელიც 2017 წელს, 4 500 ლარად შეუძენია. სოფო ჯაფარიძის 100%-იან საკუთრებაშია 120 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი მცხეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, საგურამოში – ეს მიწის ნაკვეთი 2021 წელს, 60 000 ლარად შეუძენია. გარდა ამისა, სოფო ჯაფარიძის 100%-იან საკუთრებაშია 45 კვ.მ. ფართობის ბინა ბათუმში, რომელიც 2020 წელს, 60 000 ლარად შეიძინა.

თუ ფიქრობთ, რომ სოფო ჯაფარიძის უძრავი ქონება ამით ამოიწურა, ძალიან ცდებით. მის 100%-იან საკუთრებაშია 1 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისში, კატო მიქელაძის ქუჩაზე, რომელიც 2016 წელს, 100 000 ლარად შეუძენია. სოფო ჯაფარიძის 100%-იან საკუთრებაშია კიდევ ერთი, 611 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, რომელიც 2016 წელს, 200 000 ლარად შეუძენია. გარდა ამისა, სოფო ჯაფარიძის 100%-იან საკუთრებაშია 33 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, ვაკეში, ილო მოსაშვილის ქუჩაზე, რომელიც 2014 წელს, 100 000 ლარად შეუძენია.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, სოფო ჯაფარიძის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომობილი „ვოლკსვაგენი“, რომელიც 2022 წელს, 35 000 აშშ დოლარად შეუძენია. მისი მეუღლის, გიორგი ჭოლაძის საკუთრებაშია ორი მსუბუქი ავტომობილი – „ტოიოტა“, რომელიც 2015 წელს, 45 000 აშშ დოლარად უყიდია და „რენჯროვერი“, რომელშიც 2022 წელს, 60 000 აშშ დოლარი გადაუხდია.

ქონებრივი დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ გიორგი ჭოლაძე სს „დიდუბის ავტოვაგზლის“ აქციების 27.8%-ის მფლობელია და აქედან მისი ყოველთვიური შემოსავალი 5 000 ლარია.

გარდა ამისა, სოფო ჯაფარიძეს თიბისი ბანკში აქვს ანაბარი, რომლის ანგარიშზე ირიცხება 350 000 ლარი. იქვე განმარტებულია, რომ ესაა ქონებით გაყიდული შემოსავალი და დანაზოგი.

სოფო ჯაფარიძის, როგორც დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის წლიური შემოსავალი 46 696 ლარია; როგორც შპს „მთავარი არხის“ გადაცემა „მთავარი დიაგნოზის“ წამყვანის წლიური ანაზღაურება – 19 028 ლარი. სოფო ჯაფარიძე სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგია და მისი ყოველთვიური შემოსავალი 426 ლარია.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ სოფო ჯაფარიძე ბინის გაქირავების საშუალებით, თვეში 800 აშშ დოლარს იღებს; მისი მეუღლის, როგორც „დიდუბის ავტოვაგზლის“ აქციონერის წლიური შემოსავალი კი 50 000 ლარია.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებულ ფინანსურ დარღვევებს გენერალური პროკურატურა გამოიძიებს

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ დასკვნების შეხსენებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. მათ შორის მოხვდა 2020-2021 წლებში, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი ფინანსური დარღვევები, რომლებიც შარშან დეტალურად განვიხილეთ. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 23 მუნიციპალიტეტის დაფინანსებითა და შესყიდვებით დაინტერესდა. შესაბამისობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებასა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვებს ეხებოდა 2020-2021 წლებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ხარვეზები აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტებში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონშეუსაბამოდ იყო გაცემული დამატებითი ანაზღაურება. მაგალიტად, მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაიცა დამატებითი ანაზღაურება, ჯამში - 64 600 ლარის ოდენობით.

„განხორციელებული აუდიტის ფარგლებში შემოწმებულ 23 მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში, შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 81.366.3 ათასი ლარი, მათ შორის, დანამატი - 750.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი ჯილდო - 1.144.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის, ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტებს თანამდებობრივი სარგოს გარდა, დამატებითი ანაზღაურება არ გაუციათ. 2020 წელს, დანამატი გაცემულია 17 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ხუთ მუნიციპალიტეტში გაცემულია ფულადი ჯილდო. 2021 წელს, დანამატი გაიცა 18 მუნიციპალიტეტში, 12 მათგანში გაცემულია ფულადი ჯილდოც“, - ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შემოწმებული 23 მუნიციპალიტეტიდან ოთხში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაცემულია დამატებითი ანაზღაურება სახელფასო დანამატისა და ჯილდოს სახით, ჯამში – 64.6 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ: მესტიის მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში, პოლიტიკური თანამდებობის შვიდ პირზე გაცემულია 19.2 ათასი ლარი - დანამატის, ხოლო 17.2 ათასი ლარი - ფულადი ჯილდოს სახით; მცხეთის მუნიციპალიტეტში, 2021 წელს, პოლიტიკური თანამდებობის 22 პირზე გაცემულია 21.4 ათასი ლარის ფულადი ჯილდო; კასპის მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის ორ პირზე გაცემულია დანამატი 5.2 ათასი ლარის ოდენობით; წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, 2021 წელს პოლიტიკური თანამდებობის ერთ პირზე გაცემულია დანამატი 1.6 ათასი ლარი ოდენობით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე დამატებითი ანაზღაურება გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ. საჭიროა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

სხვადასხვა დარღვევები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დარღვევებია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილ ნორმაში. მაგალითად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად დაქირავებული იყო დადგენილ ნორმაზე მეტი პირი; ზოგ შემთხვევაში დაქირავებულთა ფუნქცია-მოვალეობები საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტური ან/და დაუსაბუთებელი გახლდათ. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს, მუნიციპალიტეტები მოქმედებდნენ არა თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ კონკრეტული პირების დასაქმების მიზნით.

„სახელმწიფო აუდიტორებმა საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯებიც გამოავლინეს. მაგალითად, მუნიციპალიტეტებმა, 2020-2021 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 3.117.8 ათასი ლარი გასცეს შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ხარვეზები გამოავლინეს მივლინების პროცესშიც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. არსებობს რისკი, რომ ზოგ შემთხვევაში, მივლინების საჭიროება განსაზღვრული არ არის თვითმმართველი ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სამივლინებო თანხებს იყენებდნენ არარაციონალურად.

რაც შეეხება დოკუმენტურად დაუსაბუთებელ წარმომადგენლობით ხარჯებს, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ზოგ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებმა სტუმრების კვების ხარჯები გასწიეს კონკრეტული ღონისძიებისა და თვითმმართველი ერთეულის ინტერესების საჭიროების გარეშე. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯები არაეკონომიურია, რადგან მოსალოდნელ შედეგებზე გავლენა ვერ დგინდება.

ხარვეზები გამოვლინდა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაშიც. აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტებმა ვერ დაასაბუთეს, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი იყვნენ, პირველ რიგში, საკუთარი შრომითი რესურსი გამოეყენებინათ, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარღვევები სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და შესაძლებელია, იწვევდეს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. გამარტივებული შესყიდვის დროს, მუნიციპალიტეტები ვერ იცავენ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასად მიწოდების პირობას.

„2020-2021 წლებში, 40.0 ათას ლარს ზემოთ ღირებულების სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული წესით შესყიდული აქვს 18 მუნიციპალიტეტს. კერძოდ, სულ გაფორმებულია 180 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 34.881.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტებმა შეისყიდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სხვა სამუშაოები. გამარტივებული შესყიდვის დროს, სამუშაოს/საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, შესაძლოა, შესყიდვა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. სწორედ ამ რისკებიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით“.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის პროცესი. გამოვლინდა, რომ მერიებს ამ მიზნით რაიმე წესი/მეთოდი შემუშავებული არ აქვთ. შესაბამისად, არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც პროცესს სანდოს და კონტროლირებადს გახდის. მუნიციპალიტეტები სამუშაოების რეალური ღირებულების დასა-

დასასრული მე-8 გვერდზე

საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებულ ფინანსურ დარღვევებს გენერალური პროკურატურა გამოიძიებს

მე-7 გვერდიდან

დგენად ძირითადად იყენებენ რამდენიმე მიდგომას, რომლებიც სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის რისკის შემცველია, კერძოდ: მუნიციპალიტეტები მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს არ ითვალისწინებდნენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს - მიმწოდებლებისაგან არ ითხოვდნენ დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ წარდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების შესაბამისად.

„შედეგად, სამმა მუნიციპალიტეტმა, 36 ხელშეკრულების ფარგლებში, 3.549.5 ათასი ლარი აანაზღაურა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე. კერძოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ათი ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლებისათვის ანაზღაურებულია 1.127.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ფაქტობრივმა დანახარჯებმა 1.062.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურებულია 64.2 ათასი ლარი; ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის – ორი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ზედმეტად ანაზღაურებულია 8.2 ათასი ლარი. ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად შესწავლის შემთხვევაში, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა შესაძლოა გაიზარდოს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტები სამუშაოების ფაქტობრივ დანახარჯებს და ღირებულებას განსაზღვრავდნენ საექსპერტო დასკვნების საფუძველზე. კერძოდ, 15-მა მუნიციპალიტეტმა 144 ხელშეკრულების ფარგლებში, ამ ფორმით აანაზღაურა 31.331.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი: ზოგ შემთხვევაში საექსპერტო დასკვნები არ შეიცავს ინფორმაციას სასაქონლო ზედდებულების, ხელფასის უწყისების, ტრანსპორტის დაქირავებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენის შესახებ ან/და ექსპერტიზის მიერ ფაქტობრივი დანახარჯები არასათანადოდ არის დათვლილი.

„სახელშეკრულებო ღირებულება დგინდებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარჯთაღრიცხვის ერთეული ფასების მიხედვით, რაც შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ფაქტობრივ დანახარჯებს. კერძოდ, ოთხი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება იყო თუ არა შესწავლილი მთავრობის დადგენილების შესაბამისად და მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თერჯოლის, საგარეჯოსა და საჩხერის მუნიციპალიტეტებმა, შვიდი ხელშეკრულების ფარგლებში, საერთო ღირებულებით - 558.8 ათასი ლარი, მიმწოდებლებს ზედმეტად აუნაზღაურეს, არანაკლებ, 28.6 ათასი ლარი“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. კერძოდ, 2020-2021 წლებში, 20 ხელშეკრულების შემთხვევაში - 101.0 ათასი ლარი ანაზღაურებულია ზედმეტად; ერთი ხელშეკრულებისათვის - 75.2 ათასი ლარი, ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე, ხოლო ათი ხელშეკრულებისათვის - 61.8 ათასი ლარი, კერძო პირებთან გაფორმებული შესყიდვის აქტებით.

ხარვეზები შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შიდა აუდიტის სამსახურებს სათანადოდ არ შეუსწავლიათ ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენიათ სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუციათ შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურებმა ვერ უზრუნველჰყვეს მერიების საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

„წალკისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის სამსახურს თავისი მოვალეობები არ შეუსრულებია და არ ფუნქციონირებდა. კერძოდ, 2020-2021 წლებში, წალკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ წარადგინა წლიური და სტრატეგიული გეგმები, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება, არ შეუდგენია აუდიტორული ანგარიშები და არ გაუცია რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში დამტკიცებული საშტატო ნუსხების შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო ორი თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით აღებული აქვთ 42.1 ათასი ლარი“.

სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს, 2020 წელს არ შეუდგენია სამოქმედო გეგმა, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება და არ გაუცია რეკომენდაცია, რაც ძირითადად, გამოწვეული იყო პანდემიით. 2021 წელს, გეგმით გათვალისწინებული ოთხის ნაცვლად, სამსახურმა ჩაატარა ორი აუდიტორული შემოწმება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო ორი თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ 23.2 ათასი ლარი. 13 მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის სამსახურს არ აქვს შესრულებული წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები.

სამართალი

№24 7 აგვისტო 2024 წ

„რა გინდათ, თავი მოვიკლა?!“

როგორ ცდილობდა ქმარი ცოლის ბიზნესის გაკოტრებას

ბათო ჯაფარიძე

ბიზნესი – მაგიური სიტყვა, რომელიც ყველას მოსწონს და სიტყვა, რომლის გაგონებაზეც ნებისმიერი მზად არის, რამე იდეა წამოაყენოს, მოიფიქროს, ინვესტორს შესთავაზოს და ყველა დარწმუნებულია, რომ მისი იდეა უტყუარია, რომ აუცილებლად გაამართლებს, რომ... რომ... სინამდვილეში კი, ერთეულებს უმართლებს, იმ ერთეულებს, რომელთა ისტორიებს ვკითხულობთ, ზოგს ეს ისტორიები მოსწონს, ზოგს შურს, ზოგი ფიქრობს, რომ იმ დროსა და გარემოში მასაც გაუმართლებდა, მაგრამ იმ დროს სხვაგან იყო. რეალურად კი, ბიზნესს ცოდნა სჭირდება, ფიქრი, გათვლა, ზომიერი რისკი და ზომიერი გამართლება.

ახლაცაა და ადრეც იყო ქიმწმენდა – იმას, რასაც შინ ვერ რეცხავთ, მიგაქვთ ქიმწმენდაში (პალტო, ქურთუკი, პიჯაკი) და იქ წმენდენ, თუმცა სხვაობა ამ ქიმწმენდებშიცაა, ვიღაცამ იცის, ვიღაცამ – არა და გაწმენდის ნაცვლად, ლაქებს ტოვებს, ან ქსოვილს ისე თელავს, ჩაცმა აღარ მოგინდება.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ქიმწმენდისთვის არავის ეცალა. რა პალტოებისა და ლაბადების გაწმენდა, ხალხს პურის ფული უჭირდა, იმ პურის, რომლის რიგშიც 10-12 საათი დგომა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჰო, ახლანდელმა თაობამ არ იცის, თორემ 90-იანებში გვიხაროდა ყველაფერი – შუქის მოსვლა, წყლის მოსვლა, გაზი, პურის ყიდვა... ტრანსპორტი სანატრელი იყო და ბენზინის რიგები ხომ, საერთოდ, ნუღარ იტყვით – თუ სადმე ბენზინი იყო, მაშინვე თავდებოდა. მერე კი, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და ნელ-ნელა სახელმწიფოს დავემსგავსეთ. მერე რა, რომ პენსია 7 ლარი იყო, ერთ ადგილზე არ იდგა ქვეყანა, იგრძნობოდა, რომ წინ მივდიოდით, ნელი ნაბიჯებით, ტაატით, მაგრამ მაინც წინ. მერე იყო 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და პირველი რამდენიმე წელი, მართლაც, წინსვლა, თუმცა ისევ ნელ-ნელა ყველაფერი დიქტატურაში გადაიზარდა და საბოლოო ჯამში, მივედით იქამდე, სადამდეც მივედით.

აი, სწორედ მაშინ, როცა წინსვლა დიდი ნაბიჯებით დავიწყეთ, უკვე პოლიციად გადაქცეულ მილიციაში, ასე, 40 წლამდე ქალი მივიდა და გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა.

„როცა ქვეყანა დაინგრა, ქიმწმენდაში ვმუშაობდი, რიგით სპეციალისტად. მერე, ის ჩვენი ობიექტი არავის უნდოდა. დაახლოებით, ხუთი წლის წინ გავიარე, ვნახე, ისევ ისე იყო მიგდებული, სახელმწიფოსგან გამოვისყიდე და ავამუშავე. საქმე ძალიან კარგად წავიდა, ფეხზე დავდექი და ახლა ყველაფერი თავზე მნგრევა. მეორე თვეა, უკმაყოფილო კლიენტებს ვერ ავუდივარ. ვიღაც, წმენდის დროს, რაღაც სითხეს ურევს და ის სითხე ყველა სახის ქსოვილსა თუ ტყავს ისე ალაქავებს, შეცვლა აღარ შემიძლია. გარდა იმისა, რომ გაფუჭებული ტანსაცმლის ფასს ვანაზღაურებ, სახელიც გაუტყდა ჩემს საწარმოს და კლიენტი სულ უფრო ნააკლებია. გთხოვთ, დამეხმარეთ და ახლავე გეტყვით, რომ ეჭვი ერთ ძველ ტექნოლოგზე მაქვს, ჩემთან მუშაობდა თავის დროზე, აქ მოვიყვანე და რეალურად, მას მოჰყვნენ კლიენტები, მაგრამ მგონია, რომ ძალიან დაბერდა, რომ რაღაც ეშლება, მაგრამ ჯიუტობს, მე არაფერ შუაში ვარო“, – განაცხადა ქალმა.

საქმე ცოტა უცნაური კი იყო, მაგრამ გამოძიებას სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ემოქმედა. პირველ რიგში, სწორედ ის ვეტერანი თანამშრომელი დაჰკითხეს, რომელზეც ეჭვი ქიმწმენდის მეპატრონეს ჰქონდა. როცა კაცმა ძალოვნების ვიზიტის მიზეზი გაიგო, სახე შეეცვალა და ბოლო ხმაზე აყვირდა.

„თქვენ ხომ არ გაგიჟდით? 46 წელია, ამ საქმით ვარ დაკავებული, არასოდეს არაფერი შემშლია. მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირში ვერ მონახავთ ადამიანს, რომელიც ამ საქმეში მაჯობებს. იმ ქალს მტერი ჰყავს და ვინ მტრობს, მე არ ვიცი. აგერ, ახალი გოგო რომ მიიღო, ეგ ადრე სხვა ქიმწმენდაში მუშაობდა, იქნებ, კონკურენტია, იქნებ, შემოგზავნილია“, – ყვიროდა კაცი.

საინტერესო ის გახლდათ, რომ იმ გოგოზე თავად ქიმწმენდის დირექტორს სიტყვა არ ჰქონდა ნათქვამი და ეს საეჭვო გახლდათ. ამიტომ, ისე, რომ დირექტორისთვის არაფერი უთქვამთ, გოგონას თვალთვალი დაიწყეს და იმავე საღამოს შედეგიც დაიდო – გოგო სხვა ქიმწმენდის მფლობელს შეხვდა, თუმცა მათ შორის დაძაბული საუბარი წარიმართა. ახლოს მდგომ ოპერმუშაკს კარგად ესმოდა, როგორ ითხოვდა გოგო ფულს და თუ არ მიიღებდა, ყველაფრის თქმით იმუქრებოდა. სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ საქმე გახსნილი იყო და როგორც კი გოგო მამაკაცს დაშორდა, მაშინვე აიყვანეს.

„ხსნარი? რა ხსნარი? იმ ქიმწმენდიდან იმიტომ წამოვედი, რომ მისი მფლობელის ცოლი ეჭვიანობდა. ვაღიარებ, იმ კაცთან ურთიერთობა მქონდა, ორსულად ვარ, დამპირდა, ფულს მოგცემ და აბორტი გაიკეთეო, მე კი აბორტის გაკეთება არ მინდა, ბავშვი უნდა გავაჩინო. ამისთვის კი ფული მჭირდება. ბინა სადაც მაქვს ნააქირავები, გვერდით, ახლოში, პატარა ოთახი იყიდება, იაფად. დამპირდა, გიყიდიო და ისინიც მელოდებიან, თუ სამ დღეში, ფულს არ მივიტან, ბინას გაყიდიან და ისევ ნაქირავებში დავრჩები. რაც შეეხება ხსნარს, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლება ასხამდეს, ან რატომ უნდა ასხამდეს“, – განაცხადა გოგონამ.

ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს, მიხვდნენ, საქმეს ასე მარტივად ვერ გახსნიდნენ და ამიტომ, ქიმწმენდის დირექტორს სთხოვეს, ჩვენი ერთი თანამშრომელი დამლაგებლად აიყვანე, ყველაფერს თვალ-ყური რომ მიადევნოსო. რა თქმა უნდა, დირექტორი დათანხმდა და მეორე დღეს, პოლიციის ახალგაზრდა ლეიტენანტი გულმოდგინედ ხვეტდა ქიმწმენდის ტერიტორიას. ყველაფრის მიუხედავად, ის განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ იმ ვეტერან თანამშრომელს აქცევდა, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა ტანისამოსთანაც, საწმენდ ქვაბთანაც და სპეციალურ ხსნარებსაც თავად აზავებდა. ორდღიანი დაკვირვების შემდეგ, „დამლაგებელმა“ თქვა, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც ხსნარებს ეხება, სწორედ ის მოხუცი კაცია, სხვა, ხსნარებთან არავინ შემინიშნავსო და შეცდომაც სწორედ აქ დაუშვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ახალბედა ლეიტენანტმა ხსნარებთან კიდევ დაინახა ერთი ადამიანი, მაგრამ თავად, დამოუკიდებლად ჩათვალა, რომ ის დანაშაულს არ ჩაიდენდა. მანამდე კი, სამართალდამცავებმა ისევ მოხუცი დაჰკითხეს.

„რა გინდათ, თავი მოვიკლა?! ამ სიბერეში, გინდათ, სახელი გამიტეხოთ?! მთელი ცხოვრება პატიოსნად ვიშრომე, პატიოსნად ვემსახურე იმ საქმეს, რომელიც ვიცი და ახლა მეუბნებით, რომ ვითომ მე რაღაცას სპეციალურად ვაკეთებ, ვიღაცის ბიზნესი რომ ჩავაგდო. იმას რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ ბიზნესის ჩავარდნით, მეც უმუშევარი ვრჩები და გამოდის, სიბერეში ჩემი თავის მტერი გავხდი? იქ არ ეძებთ, ბატონებო, სადაც უნდა ეძებდეთ. რატომ არ დაჰკითხეთ დირექტორის ქმარი? ყოველ საღამოს საამქროშია, თან მუდმივად ხსნარებთან ტრიალებს. ეგებ, მას სურს, რომ ცოლის ბიზნესი ჩავარდეს, აბა, მე რა ვიცი, ვის ოჯახში რა ხდება? იქნებ, ერთმანეთს შორდებიან“, – განაცხადა კაცმა.

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ თანამშრომელ „დამლაგებელს“, დირექტორის ქმარზე სიტყვაც არ ჰქონდა ნაათქვამი და ამიტომ, მას დაუძახეს.

„კი, ის კაცი ყოველ საღამოს საამქროშია, ხსნარებთანაც ხშირად მიდის, მაგრამ ის ხომ დირექტორის ქმარია და რაში უნდა აწყობდეს ხსნარების არევა და რამეს დამატება? ასე, ხომ, ცოლის ბიზნესი ჩავარდება და ისიც იზარალებს“, – თქვა ლეიტენანტმა და... ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერის გარდა, არც საყვედური ასცდა. ძალოვნებმა დირექტორის მეუღლის თვალთვალი დაიწყეს და მალევე მიხვდნენ, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო. მამაკაცი საამქროში ჯიბეში დამალული ბოთლით შედიოდა, იქიდან გამოსული კი, უკვე ცარიელ ბოთლს ნაგვის ურნაში აგდებდა. ახლა, მთავარი იმის დადგენა იყო, თუ რატომ იქცეოდა კაცი ასე და ამისთვის მისი ფაქტზე დაჭერა გახლდათ საჭირო. ამიტომ, ის მაშინ დააკავეს, როცა საამქროში შესვლას აპირებდა და ჯიბეში ქიმიური ხსნარით სავსე ბოთლი უნახეს. სახელდახელო დაკითხვა ქიმწმენდის დირექტორის კაბინეტში შედგა. თავად ქალი მომხდარით გაოგნებული იყო და ქმრისგან ახსნა-განმარტებების გაკეთებას მოუთმენლად ელოდა.

„ჩვენი ოცნება ბავშვი იყო, შვილი წლების განმავლობაში არ გვიჩნდებოდა. აი, მერე, როცა შვილი გვეყოლა, ცოლის ოცნება საკუთარი საქმე გახლდათ და ჩემი ფულით ვუყიდე ის საამქრო, სადაც თავად მუშაობდა. აქ შევცდი, მას შემდეგ, მე ცოლი დავკარგე, ბავშვმა – დედა და მას ძიძა ზრდის. გაიხსენე, როდის იყავი ბოლოს, ჩვენთან ერთად, სადმე დასასვენებლად? გაიხსენე, ბოლოს როდის ისეირნე ჩვენთან ერთად საღამოს, ან დილით? ბოლოს როდის გეჭირა ხელში ჩვენი საოცნებო შვილი და ბოლოს როდის მითხარი, რომ გიყვარვარ? ამიტომ არ მინდა, გქონდეს შენი საქმე, ამიტომ ვაფუჭებდი ყველაფერს, რომ ოჯახში დამებრუნებინე“, – განაცხადა კაცმა და ქალს უკვე არაფერი ესმოდა, ცრემლეები ღაპაღუპით მოსდიოდა.

ვინ არის შუახნის მამაკაცი და რატომ ჩუქნის სკოლის მოსწავლე გოგონას ბრილიანტის სამკაულებს

უცნაური ოჯახური დრამა და წლების შემდეგ გამხელილი საიდუმლო

ბათო ჯაფარიძე

ყველა ადამიანს ჰყავს თუ აქვს კარადაში დამალული ჩონჩხი ანუ აქვს საიდუმლო, რომლის გამომზეურებასა და სხვებისთვის ჩვენებას ერიდება. მართალია, შესაძლოა, გაექცე ყველასა და ყველაფერს, მაგრამ ვერასდროს გაექცევი საკუთარ თავს. რაც მთავარია, ყოველთვის არსებობს ისეთი ადამიანი, რომელმაც ამ „ჩონჩხის“ შესახებ იცის და როცა არ ელოდები, ან როცა ყველაზე ნაკლებად გინდა, სწორედ მაშინ გამოაჩენს ხოლმე.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ძალიან ბანალურად დაიწყო, იმდენად ბანალურად, რომ ძალოვნებმა თავიდან ყურადღებაც კი არ მიაქციეს და რომ არა გარემოებათა გარკვეული დამთხვევა, ეგებ, არც დაინტერესებულიყვნენ, მაგრამ...

განყოფილებაში, ცნობილ გამომძიებელთან მეგობარი მივიდა და დახმარება სთხოვა.

„კი იცი შენ, ერთადერთი გოგო მყავს, მზე და მთვარე მასზე ამომდის. ჰოდა, იმ დღეს, სკოლაში რომ მივიყვანე, მომეჩვენა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა, დაახლოებით, ჩემი ასაკის კაცი. მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი, მეგონა, მომეჩვენა-მეთქი და მეორე დღეს უფრო ყურადღებით ვიყავი. არაფერი მომჩვენებია, ის კაცი ისევ სკოლის შესასვლელთან დაგვხვდა და როგორც კი ჩემი გოგონა სკოლაში შევიდა, თვალი გააყოლა, მერე მე გამომხედა მალულად და იქაურობა დატოვა. რაც მთავარია, ძალიან შეიცვალა ჩემი გოგოც, რომ ვეკითხები, რა ხდება-მეთქი, გამირბის, არაფერს მეუბნება არც მე და არც – დედამისს. ამას წინათ, მისი ოთახი გავჩხრიკე და ბრილიანტის ბეჭედი ვიპოვე, ოქროს საყურეც ვიპოვე, ისიც ბრილიანტის თვლებით. რატომღაც მგონია, რომ ის კაცი ჩემს შვილს, სწორედ ამ ძვირფასეულობით აბამს, ვიღაც გარყვნილი იქნება, როგორ შეიძლება, შვილის ტოლ გოგოზე ასე იფიქრო, მაგრამ ის, ალბათ, ავადმყოფია. ოფიციალურად განცხადების დაწერა და ხმაურის ატეხვა არ მინდა, გემუდარები, მიშველე, რამე მოიფიქრე, ან ის კაცი დავიჭიროთ, თორემ ცოდვას ჩავიდენ“, – აკანკალებული საუბრობდა მისული.

გამომძიებელმა, როგორც შეეძლო, მეგობარი დაამშვიდა, დაპირდა, ხვალ სკოლასთან ჩემი თანამშრომელი იმორიგეევებს და შევეცდებით, გავარკვიოთ, ეს კაცი ვინ არის და რას წარმოადგენსო. მართლაც, მეორე დღეს, სკოლასთან ოპერმუშაკი მორიგეობდა, ყოველი შემთხვევისთვის, ქამარში ტაბელური იარაღიც ჰქონდა, რომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობდა. მამამ შვილი სკოლაში მიიყვანა, მანქანიდან ჩამოსვა და შეთანხმებისამებრ, იქაურობა დატოვა. გოგონამ, სანამ სკოლის კარს შეაღებდა, უკან მოიხედა, ის ასაკოვანი მამაკაცი დაინახა, გაუღიმა, მერე გაიქცა, ჩაეხუტა, ლოყაზე მაგრად აკოცა და სკოლაში შევიდა. ასაკოვანი კაცი ცოტა ხანს ადგილზე იყო გაშეშებული, მერე მისკენ მიმართული დაჟინებული მზერა შენიშნა, ისიც დაინახა, როგორ გაისწორა ოპერმუშაკმა საქამრეში იარაღი და იქაურობას ჯერ ნელი ნაბიჯით გაეცალა, შემდეგ ფეხს აუჩქარა, იქვე მდგარ მანქანაში ჩახტა და გაუჩინარდა. საჭესთან სხვა იჯდა, თუმცა ოპერმა ნომრის დანახვა მოასწრო და მომხდარის შესახებ გამომძიებელს მოახსენა.

გამომძიებელი აშკარად დაიბნა, მეგობარს დაურეკა და მისვლა სთხოვა, შემდეგ, მომხდარის შესახებ უამბო და...

„ხომ გეუბნებოდი? ფულითა და ოქროებით დაბა ჩემი შვილი, დასაჭერია ის ავადმყოფი, თორემ აქამდე არასდროს, არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენთვის რამე დაემალა, ახლა კი, თითქოს ზიზღიც შეერია ქცევებში, თითქოს ჩვენი დანახვა არ უნდა. მან ხომ ზუსტად იცის, იმ კაცს ოჯახში არასოდეს შემოვუშვებ და ასე ამიტომ იქცევა. მიშველე, მალე მიშველე, სანამ გოგონას სულ დავღუპავ“, – ვერ ჩერდებოდა მეგობარი და გამომძიებელმაც დაამშვიდა, ხვალ სამი ოპერმუშაკი იმორიგეევებს და მას აუცილებლად დავაკავებთ, მანამდე კი, იმას გვიგებთ, მანქანა ვისიაო.

მართლაც, ავტომობილის მფლობელის ვინაობა მალე დაადგინეს, მაგრამ რად გინდა, იმ კაცმა ხელები გაშალა, ჩვეულებრივი ტაქსი ვარ, ამ კაცმა, დაახლოებით, ერთი თვის წინ დამიქირავა, კარგად იხდის, დღეს სკოლიდან პრაქტიკულად გამომაქცია, მერე გადამიხადა და დამემშვიდობა, ასე მითხრა, სავარაუდოდ, ერთმანეთს ვეღარ ვნახავთო. ერთადერთი, რასაც ტაქსის მძღოლი დაზუსტებით ამბობდა, ის გახლდათ, რომ მისი კლიენტი ქართველი არ იყო, ეროვნებით უზბეკი, ტაჯიკი ან ყაზახი გახლდათ, მაგრამ არა სუფთა სისხლის, არამედ ნარევი იყო და ეს ეტყობოდა კიდეც. ტაქსის მძღოლმა ისიც თქვა, ვიცი, სად აქვს მაგ კაცს ბინა ნაქირავები და მიგიყვანთო და სამართალდამცავები მისამართზე გავიდნენ, თუმცა...

„დიახ, ჩემი ბინა ნაქირავები ჰქონდა ერთ სანდომიან მამაკაცს, მაგრამ ნახევარი საათია, ანგარიში გამისწორა, თავისი ჩემოდანი წაიღო და წავიდა. პასპორტი კი მანახა, მაგრამ არაქართული სახელი და გვარი ჰქონდა და ვერ დავიმახსოვრე“, -განაცხადა „ხაზეიკამ“.

საქმემ აშკარად სერიოზული ხასიათი მიიღო და გამოძიება ახლა მთავარ იმედს გოგონაზე ამყარებდა. სწორედ მას უნდა ეთქვა, ვინ იყო ის კაცი, რა უნდოდა, რატომ ჩუქნიდა ძვირფას საჩუქრებს, რატომ ეხუტებოდა და საერთოდ, მას ყველაფერი უნდა მოეყოლა. გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ სკოლის მოსწავლეს ადვილად აალაპარაკებდა, მაგრამ პირველივე წინადადების თქმის შემდეგ მიხვდა, ეს მარტივი არ იქნებოდა. გოგონა აშკარად არ აპირებდა არაფრის თქმას. როგორ არ ეცადნენ, ცალკე მშობლები და ცალკე ძალოვნები, მაგრამ არაფერი გამოვიდა, გოგო საკუთარ ოთახში ჩაიკეტა და იქიდან გამოსვლას არ აპირებდა. მამაკაცზე ძებნა გამოცხადდა, ფოტო-რობოტი „ხაზეიკას“, ტაქსის მძღოლისა და ოპერმუშაკის მონათხრობიდან შედგა და სამივემ თქვა, რომ ფოტო-რობოტი მას ძალიან ჰგავდა.

ფოტო-რობოტი დაურიგეს ყველა განყოფილებას, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაგზლებსა და აეროპორტებს აქცევდნენ, აამუშავეს აგენტურული ქსელი, მაგრამ მამაკაცი, უბრალოდ, გაქრა. ძალოვნებმა გადაწყვიტეს, რომ გოგონას „შინაპატიმრობაში“ ყოფნას აზრი არ ჰქონდა და უმჯობესი იქნებოდა, თუ მას გაუშვებდნენ და თვალთვალს დაუწყებდნენ, თუმცა გამომძიებელი იმასაც ხვდებოდა, რომ საქმე გამოცდილ კაცთან ჰქონდა და ის ყველა ვარიანტში მიხვდებოდა, რომ ბავშვზე თვალთვალი იქნებოდა დაწესებული. შესაბამისად, ის ღიად არ გამოჩნდებოდა, თუმცა იმედი არსებობდა, რომ გოგონასთან კავშირის დამყარებას აუცილებლად შეეცდებოდა.

პირველმა დღემ შედეგი არ მოიტანა, მეორე დღეს კი, გოგონა შეეცადა მოთვალთვალეებს დასხლტომოდა და ეს „მოახერხა“ კიდეც. საქმე ის გახლდათ, რომ გამოძიებამ მას ორი ოპერმუშაკი ღიად აადევნა, კიდევ ორი კი მალულად მიჰყვებოდა. გოგონამ მანქანა გააჩერა, ჩაჯდა და წავიდა. მალე ის ერთ-ერთ სასადილოსთან მივიდა, იქიდან ოფიციანტი გამოვიდა და გოგონას ცალკე კუპეში შეუძღვა. დაახლოებით. 20 წუთში, სასადილოსთან ათამდე ძალოვანი მივიდა და კუპეშიც ერთდროულად შევიდნენ. კაცს გოგონა ჩახუტებული ჰყავდა და თმებზე ნაზად ეფერებოდა. რა თქმა უნდა, მას ხელები გადაუგრიხეს. ამის დანახვაზე, გოგო ბოლო ხმაზე აკივლდა, მაგრამ ისიც დააწყნარეს. განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, დაახლოებით, ნახევარ საათში, სამართალდამცავებმა უკვე იცოდნენ, რომ მათ წინ ყაზახეთის მოქალაქე იჯდა, რომელსაც 15-წლიანი „სროკი“ ჰქონდა მოხდილი და ციხიდან ოთხი თვის გათავისუფლებული იყო. სასჯელი კი, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვისთვის მოიხადა და უბრალოდ, გაუმართლა, რომ არ დახვრიტეს.

„მე არც ავადმყოფი ვარ და არც მცირეწლოვანი გოგონას შეცდენა მინდა. ეს გოგო ჩემი შვილია, ჩემი საკუთარი შვილი. მე და ჩემი საცოლე ერთი და იმავე საწარმოში ვმუშაობდით, რეალურად, მას მოუვიდა გადახარჯვა, თუ გაფლანგვა. არც კი ვიცოდი, თუ ორსულად იყო, უბრალოდ, მისი დანაშაული ჩემს თავზე ავიღე, მე ისეთი მფარველი მყავდა, რომელიც ჩემს დახვრეტას არ დაუშვებდა. ასეც მოხდა, მაგრამ 15 წელი მომისაჯეს. ჯერ კიდევ ციხეში გავიგე, რომ ჩემი საცოლე ორსულად იყო, მაგრამ გაიქცა, რესპუბლიკა დატოვა. ციხიდან რომ გამოვედი, მათი ძებნა დავიწყე და ვიპოვე. ჩემს შვილს ყველაფერი მოვუყევი, ვთხოვე, სახლში ჯერ არაფერი ეთქვა, რადგან მისი მიჩვევა მინდოდა. მინდოდა, გვერდით მყოლოდა, მაგრამ მამამ რაღაც იეჭვა და აგერ, დამიჭირეთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

გამომძიებელმა ცოლ-ქმარი დაიბარა. კაცმა თავიდან გაიოცა, მაგრამ მერე თქვა, რაღაცას კი ვხვდებოდი, ბავშვი შვიდთვიანი რომ დაიბადა, მაგრამ მერე ისე შემიყვარდა, დავწყნარდი და ბოდიში ნამდვილ მამასთან, მაგრამ ჩემს გაზრდილ შვილს ვერ დავუთმობო. დედამ აღიარა, რომ როცა ყაზახეთიდან გამოიქცა და საქართველოში ჩამოვიდა, აქ გაიგო, ორსულად რომ იყო და შეეცადა, მალე გათხოვილიყო, რაც გამოუვიდა კიდეც. ქალმა დაადასტურა, რომ ეს მამაკაცი სწორედ მისი საქმრო იყო და ბოდიშიც მოუხადა, სხვა გზა არ მქონდა, აბორტს ვერ გავიკეთებდი და არ მსურდა, მარტოხელა დედის სახელი მქონოდაო.

საბოლოო ჯამში, სამართალდამცავებმა ყველა გაათავისუფლეს, მაგრამ... რა თქმა უნდა, ისტორიის გაგრძელებით დაინტერესდნენ. მხარეებმა შეთანხმების მიღწევა მოახერხეს და გოგონა ნამდვილ მამასთან ყაზახეთში არდადეგებს ატარებს, დანარჩენ დროს კი, საქართველოშია.

ბათო ჯაფარიძე

წესითა და რიგით, ქართული მხატვრული ფილმი „უძინართა მზე“ ყველას ნანახი უნდა გქონდეთ (ვისაც არ გინახავთ, ნახეთ). ფილმში ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდია, როცა აგნესა ექსპერიმენტებისთვის შეკრებილ ვირთხებს უშვებს, რადგან ჰგონია, რომ მამამისი ამ ვირთხებით დროს კარგავდა და კიბოს საწინააღდეგო წამალს ტყუილად ეძებდა. მერე... მერე ყველამ იცის, ვინც არ იცის, ნახოს.

იგუანას კრიმინალური ამბავი

როგორ ცდილობდა არასრულწლოვანი გოგონა დის შეყვარებულთან დაშორებას

ჰოდა, ვირთხების რა გითხრათ, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, თბილისში იგუანა დაიკარგა და მას ლამის მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ეძებდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დაკარგულ იგუანაზე პასუხისმგებელი შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის შვილი იყო.

საქმის არსი უკეთ რომ გაიგოთ, დეტალებს გეტყვით. თბილისში, ცნობილი პროფესორის შვილი, სწორედ იმ შსს-ს მაღალჩინოსნის გოგონაზე აპირებდა დაქორწინებას. პროფესორი მივლინებით საზღვარგარეთ წავიდა, მისი შვილიც მამის კვალს მიჰყვებოდა და ისიც თან ახლდა, ბიჭის დედა გარდაცვლილი იყო და ბრაზილიელი პროფესორების მიერ ნაჩუქარი იგუანასა და ამაზონის ჯუნგლებიდან ჩამოყვანილი ორი ბრაზილიური თუთიყუშის მოვლა, სწორედ მაღალჩინოსნის გოგონას სთხოვეს. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, ქორწილი უნდა გამართულიყო, მაგრამ გოგონამ იგუანა დაკარგა და ეს იმას ნიშნავდა, რომ ქორწილი, შესაძლოა, არ შემდგარიყო, რადგან პროფესორს იგუანა ძალიან უყვარდა, მის დაკარგვას მომავალ სარძლოს არ აპატიებდა, შვილი კი მამის სურვილის წინააღმდეგ არ წავიდოდა.

„ჩემი ბრალი არ არის, შენს უმცროს ქალიშვილს ვთხოვე იგუანასთვის საჭმელი დაეყარა, იმან კი, ბინის კარი ღია დატოვა, იგუანა გაიპარა და ახლა, სად უნდა ვეძებო? შეიძლება, ვიღაცამ კიდეც მოკლა, შეეშინდებოდა, გველი ან დიდი ხვლიკი ეგონებოდა, ან სულაც გველეშაპი“, – მამის მკერდზე ქვითინებდა გოგონა. სწორედ ამიტომ, მთელი შსს ფეხზე დადგა, არაოფიციალურად ყველა იგუანას ეძებდა და ყველას სურდა, მაღალჩინოსნის თვალში ამაღლებულიყო, მაგრამ ეგზოტიკური ქვეწარმავალი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. პროფესორის დაბრუნებამდე კი, სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა. მაღალჩინოსანმა გამოცდილ გამომძიებელს მიმართა და უთხრა, თუ იგუანას იპოვი, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნებიო. მეტიც, გამომძიებელს მინისტრის მოადგილემაც დაურეკა და იგივე სთხოვა, ორი-სამი დღით, სხვა საქმეები გადადე და შენს ბიჭებთან ერთად, ამ საქმეს ჩაუჯექიო. გამომძიებელსაც უარი არ უთქვამს და პირველ რიგში, სამეზობლო შემოიარა, ეგებ, ვინმემ რამე იცოდესო, მაგრამ იგუანას შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

„ეგზოტიკური ცხოველები თუ ქვეწარმავლები ბევრს არ მოსწონს და არ უყვარს, მაგრამ არის ადამიანების კატეგორია, რომელიც მათზე გიჟდება და დიდ ფულსაც იხდის,. მოვიკითხეთ და შავ ბაზარზე ამ ზომისა და ამ შეფერილობის იგუანა 500 მანეთადაც კი იყიდება,რაც ცოტა ფული არ არის. ამიტომ, შეეცადეთ გაარკვიოთ, ვინმემ ხომ არ გაყიდა, ან ხომ არ ყიდის იგუანას და ხომ არ არის ეს ის ეგზემპლარი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ“, – უთხრა გამომძიებელმა ოპერმუშაკებს და მათაც ორ საათში საინტერესო ამბავი გაიგეს – ახალგაზრდა კაცი იგუანას ნამდვილად ყიდდა, თუმცა მას პრობლემა ჰქონდა, კუდი იყო მოწყვეტილი. ძალოვნებმა ივარაუდეს, რომ კუდი, შესაძლოა, დაჭერის დროს მოწყდა, ამიტომ ქვეწარმავლის სანახავად წავიდნენ. უფრო ზუსტად, ბიჭს, როგორც მყიდველები, ისე ესტუმრნენ. სამართალდამცავებს იმედები მალე გაუცრუვდათ, რადგან იგუანას აშკარად ეტყობოდა, რომ კუდი კარგა ხნის მოწყვეტილი ჰქონდა და ჭრილობა არ ეტყობოდა. ამიტომ, ბიჭი რომ არ დაეფრთხოთ და მათ წრეში რომ არ გახმაურებულიყო, ძალოვნები იგუანას რომ ეძებდნენ, უკუდობის გამო დაიწუნეს და უთხრეს, თუ კუდიანს და დაუზიანებელს იპოვი, ფულს არ დაგამადლითო.

დაჰკითხეს „მთავარი დამნაშავეც“, შსს-ს მაღალჩინოსნის უმცროსი შვილი, 16 წლის გოგონა, რომელიც ამბობდა, ყველაფერი შემთხვევით მოხდა, რა ვიცოდი, თუ იგუანას სირბილი შეეძლო, კარი ღია დამრჩა და რომ მოვიცალე, ვეღარსად ვნახეო. იგუანას ექსპერტებიც ამბობდნენ, რომ ამ ქვეწარმავალს შეეძლო, საათობით გაუნძრევლად მდგარიყო, მაგრამ თუ აიწყვეტდა, სირბილი არ შეეშლებოდა და ადამიანს მისი დაწევა გაუჭირდებოდა. დაწევას ვინ ჩივის, გოგონა ამბობდა, არც კი დამინახავს, როგორ გავიდა კარში და არც ის, კიბეზე როგორ დაეშვაო. ამასობაში, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა ძალიან საინტერესო ცნობა მოიტანა. როგორც გაირკვა, სწორედ იმ დროს, როცა იგუანა გაქრა, ერთ-ერთ ოჯახს, სადარბაზოში ავეჯი შეჰქონდა და მუშები მუდმივად კიბეზე იყვნენ. ისინი კი ამბობდნენ, ხვლიკი არ დაგვინახავსო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ იტყუებოდნენ, ავეჯი აიტანეს, მერე იგუანა ხელს გააყოლეს და გაყიდეს. ქურთი მუშები მალე იპოვეს და მკაცრად დაჰკითხეს.

„რა ხვლიკი და იგუანა, ხალხო? ეგ რომ დაგვენახა, ხომ გული გაგვისკდებოდა? ჩვენ ავეჯი აგვქონდა და არაფერი დაგვინახავს, ხომ შეიძლება, ის ხვლიკი ქვემოთ კი არა, ზემოთ წავიდა, ან ჭერზეა, ან რომელიმე სხვა მაცხოვრებელმა გაუღო კარი და ოთახში შეიყვანა“, – თქვეს მუშებმა და ეს მართლაც იდეა იყო – არაოფიციალურად, მაგრამ იმ სადარბაზოში ყველა ბინა გაიჩხრიკა. იგუანას ზომებიდან გამომდინარე, მას მარტივად ვერ დამალავდნენ, ამიტომ თამამად ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი ნახეს. შანსი იმისა, რომ დაკარგულ ქვეწარმავალს იპოვიდნენ, სულ უფრო მცირდებოდა, მააგრამ გამომძიებელი შინაგანად გრძნობდა, რომ რაღაც გაეპარა, რომ იგუანა იქვე იყო, ახლოს და ვერ პოულობდა. ამიტომ, საქმეს კიდევ ერთხელ ჩაუჯდა, ღამე გაათენა და... ახალი ვერაფერი ნახა. მეორე დღეს, სამსახურში დაღლილი და იმედგაცრუებული წავიდა. კართან ერთ-ერთი ოპერმუშაკი დახვდა და უთხრა, საქმე მაქვსო. გამომძიებელი ხელქვეითს უყურადღებოდ უსმენდა, რადგან „მიხვდა“, მისი მონათხრობი მიმდინარე საქმესთან კავშირში არ იყო, თუმცა...

„უფროსო, ჩემი მეუღლე ცოტა უცნაური ქალია, მკითხავ-მჩხიბავების სჯერა. ჰოდა, გუშინ დაქალმა უთხრა, ერთი მკითხავი ვიცი, სასწაულებს აკეთებსო და მასთან წავიდნენ. იქიდან რომ დაბრუნდა, აღტყინებული და აღტაცებული იყო, ნამდვილი მკითხავი ვიპოვე, მარტო თავად კი არ მკითხაობს, პატარა გველეშაპი ჰყავს და ისიც საქმეშია, თავს ატრიალებს იმ მხარეს, სადაც კარტია და მერე იმ კარტზე მიდის მკითხაობა. გამეცინა, რა გველეშაპი-მეთქი და მთხრა, ხვლიკს ჰგავსო. ჯიბეში მქონდა იგუანას სურათი, ვანახე და თავი დამიქნია, ეგ არისო. მოკლედ, იმ მკითხავის მისამართი მაქვს და ახლავე უნდა წავიდეთ“, – თქვა ოპერმუშაკმა და გამომძიებელმაც ყურები ცქვიტა. ჯგუფი ადგილზე ნახევარ საათში მივიდა.

რა თქმა უნდა, პირდაპირ ჩხრეკა არ გამოდიოდა, ამიტომ გამომძიებელმა ის გოგო მიიყოლა, რომელსაც იგუანა ჩააბარეს და საქმროს დაკარგვის შიშით, ძალიან წუხდა. ლეგენდა ასეთი იყო – გამომძიებელი და ეს გოგონა ცოლ-ქმარი იყვნენ, ბავშვი არ უჩნდებოდათ და მკითხავის თუ მჩხიბავის რჩევა სჭირდებოდათ. ქალმა ყურადღებით მოუსმინა, მერე კი უთხრა, თუ გნებავთ, ჩემს დამხმარეს გამოვიყვან, ოღონდ მისი შეწუხება 50 მანეთი დაგიჯდებათო. „ცოლ-ქმარი“ დაეთანხმა და ქალმაც მეორე ოთახიდან იგუანა გამოაბრძანა.

„ის არის“, – თქვა გოგონამ და სიხარულისგან გული წაუვიდა. მკითხავი ვერ მიხვდა, რა მოხდა, გამომძიებელი გოგონას მოსულიერებას შეუდგა, თანაც ხმამაღლა დაიყვირა, შემოდითო და ოთახი ოპერმუშკებით გაივსო. მკითხავი დააკავეს, იგუანაც განყოფილებაში წაიყვანეს.

„მე არავისთვის არაფერი მომიპარავს. ლოთი ცოლ-ქმარი რომ არიან უბანში, მათ მომიყვანეს ეს ხვლიკი და სანაცვლოდ, 1 ლიტრი არაყი მივეცი. ვკითხე, საიდან ჰყავდათ და მითხრეს, რომ იპოვეს. არ გამიგია, პროფესორმა დაკარგა თუ ტროლეიბუსის მძღოლმა, ჩემი საქმისთვის მჭირდებოდა და გადასარევადაც ვიყენებდი“, – განაცხადა მკითხავმა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ლოთი ცოლ-ქმარიც დაჰკითხეს. მათ კარგად ახსოვდათ, როგორ მოიპოვეს ხვლიკი და როგორ გადაწყვიტეს, რომ მისი ერთადერთი შემძენი მკითხავი იქნებოდა და ძალიან ბედნიერები იყვნენ იმით, რომ სანაცვლოდ არაყი მიიღეს.

„ეს ხვლიკი სადარბაზოდან ახალგაზრდა გოგონამ გამოიყვანა და ბუჩქებში ჩასვა, მერე კი, იქაურობას სირბილით გაეცალა. არ ვიცით, ის გოგო ვინ არის, ჩვენი უბნელი არ უნდა იყოს, მაგრამ მიახლოება და ხელის მოკიდება იმიტომ გავბედეთ, რომ მას არ კბენდა და ჩვენც არ გვიკბენდა“, – თქვეს ლოთებმა.

ეს რაღაც ახალი იყო – გამოდიოდა, იგუანა კი არ გაიქცა, ის ვიღაცამ, უბრლოდ, მოიშორა და... გამომძიებელმა ლოთებს მაღალჩინოსნის უმცროსი გოგოს სურათი ანახა. ცოლ-ქმარი ერთად აყვირდა, კი, ეს გოგონაა. გამომძიებელი შსს-ს მაღალჩინოსანს დაუკავშირდა და მდგომარეობა აუხსნა, რამაც ის ძალიან გააკვირვა. უმცროს შვილს ის გამომძიებელთან ერთად ესაუბრა.

„თქვენ არ იცით... არაფერი არ იცით... ის ბიჭი მეც მიყვარს და მგონია, რომ მე უფრო შემეფერება. ისიც არ უნდა იყოს გულგრილი, ერთხელ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, რომ ძალიან კარგი ბავშვი ვარ. წელს სკოლას ვამთავრებ და ბავშვი აღარ ვიქნები“, – ატირდა გოგონა.

შსს მაღალჩინოსანმა გამომძიებელს მადლობა გადაუხადა, დანარჩენს მე მივხედავო და... ორ თვეში, გამომძიებელი ქორწილში საპატიო სტუმრად იყო მიწვეული, უმცროსი გოგონა კი მალე მიხვდა, რომ ეს ბავშვური გატაცება იყო და მის ბავშვურ გატაცებას ლამის იგუანა შეეწირა.

მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 35 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში, სხვადასხვა ქვეყნის 35 მოქალაქე ქვეყნიდან გაძევეს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იძულების წესით იქნა გაძევებული ქვეყნიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უზბეკეთის რესპუბლიკის, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკის, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოსa და ირლანდიის რესპუბლიკის, ჯამში, 35 მოქალაქე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მისი ერთ-ერთი კომპეტენცია არის საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის, მიგრაციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, ტრეფიკინგის საკითხებზე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ადამიანით ვაჭრობის მიმართულებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის, მიდგომების და მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სერვისების შესახებ ისაუბრეს. ასევე, სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან, ყურადღება გამახვილდა ამ კატეგორიის დანაშაულების გამოვლენის, მომართვიანობისა და დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობაზე.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, შესაბამისად, უწყებისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მომართვიანობის უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით 28 პირი დააკავა, მათ შორის, 16 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის და იმერეთის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 28 პირი დააკავეს. დაკავებულთა შორის, 16 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულები არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებია ამოღებული. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო გასაღების, გასაღების მცდელობის და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1980 წელს დაბადებული მ.გ., 2005 წელს დაბადებული გ.ბ., 2002 წელს დაბადებული ს.ტ., 1996 წელს დაბადებული გ.კ., 2004 წელს დაბადებული ბ.ს., 2005 წელს დაბადებული გ.ო., 2001 წელს დაბადებული მ.გ. და წარსულში ნასამართლევი, 2003 წელს დაბადებული ა.ს.

ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1998 წელს დაბადებული ე.ტ., 1998 წელს დაბადებული დ.მ., 1997 წელს დაბადებული ა.პ., 1998 წელს დაბადებული კ.მ., 1995 წელს დაბადებული ს.გ., 1999 წელს დაბადებული ი.კ., 1998 წელს დაბადებული მ.მ. და 2005 წელს დაბადებული ო.ა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებების და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ჩ.ი., 1981 წელს დაბადებული ვ.ო., 2002 წელს დაბადებული თ.მ., 1985 წელს დაბადებული ი.კ., 1979 წელს დაბადებული ლ.შ., 1999 წელს დაბადებული ლ.ა., 1958 წელს დაბადებული გ.ა. და წარსულში ნასამართლევი, 1975 წელს დაბადებული პ.ჩ.

ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2002 წელს დაბადებული კ.მ., წარსულში ნასამართლევი, 1994 წელს დაბადებული ღ.ა., 1991 წელს დაბადებული ს.ს. და 1992 წელს დაბადებული ა.დ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან, სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „კოკაინი“, „ჰეროინი“ „ალფა პვპ“, „მეტადონი“, „მდმა“, „მეფედრონი“, „ლიზერგიდი“, „კეტამინი“, „ბუპრენორფინი“, „სუბოტექსი“, „ექსტაზი“, „მეტამფეტამინი“, „მარიხუანა“ და ნარკოტიკულ საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად არის ამოღებული, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული და ელექტრო-სასწორები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 262-ე, 265-ე, 18-260-ე, 19-260-ე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

ლაშა ბექაურმა ისტორია გადაწერა

2021 წელს, ტოკიოს ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოგების შემდეგ, ლაშა ბექაურმა განაცხადა, რომ მისი ოცნება ოლიმპიადის 4 ოქროს მედალია ანუ შედეგი, რომელიც აქამდე, მსოფლიოს არცერთ ძიუდოისტს არ ჰქონია. პირველი ოლიმპიური ოქროს მოგების დროს, ლაშა 20 წლის იყო და ბევრმა ეს ახალგაზრდულ ნატვრად თუ ოცნებად ჩათვალა, მაგრამ აგერ, პარიზის ოლიმპიადაა და ლაშამ დანაპირები 50%-ით შეასრულა. არა მარტო ფინალს, არამედ, ლაშას ყველა ორთაბრძოლას, ალბათ, ყველამ უყურა, ჩვენ კი, იმ საინტერესო ფაქტებს მოგითხრობთ, რომელიც ყველამ ნამდვილად არ იცის.

დავიწყოთ იმით, რომ ბექაური ძიუდოში პირველი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ამასთან ერთად, ლაშამ ზედიზედ ორ ოლიმპიადაზე მოიგო ოქრო, რაც აქამდე, არცერთ ქართველ ძიუდოისტს არ უქნია, არც საბჭოთა კავშირის დროს, არც მას შემდეგ, რაცდამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. ლაშა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მეორე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია, მისივე სეხნია, ლაშა ტალახაძის შემდეგ.

ბექაურის მედალი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ოლიმპიადებზე მოპოვებული 42-ე ჯილდოა (ბექაურის შემდეგ, ვერცხლის მედალი მოიპოვა ილია სულამაანიძემ და მინიმუმ ბრინჯაო გაინაღდა ლაშა გურულმა). ამ 42 მედლიდან, ოქროს სინჯის 11-ია, მაგრამ ლაშას გამარჯვებით, ოლიმპიურ ჩემპიონთა რიცხვი არ გაზრდილა და ის კვლავ 9 რჩება – ზურაბ ზვიადაური, გიორგი ასანიძე, ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია, რევაზ მინდორაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ლაშა ტალახაძე, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და ლაშა ბექაური. 11 ოქროს მედლიდან, ლამის ნახევარი ანუ 5 ოქრო ძიუდოისტებზე მოდის. ოცწლიანი პაუზის შემდეგ, ოლიმპიადის ფინალში, ქართველმა ძიუდოისტმა იაპონელი დაამარცხა. ეს ოცი

წლის წინ, ლაშა ბექაურის ნათლიამ, ზურაბ ზვიადაურმა შეძლო, 2004 წლის ოლიმპიადაზე, როცა ჰიროში იზუმის მოუგო. ისე, -90 კილოგრამი, ჩვენთვის ყველაზე იღბლიანი წონაა, რადგან ამ წონაში გახდა ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე და ახლა ლაშა ბექაური – ორჯერ.

ზედიზედ მეექვსე ოლიმპიადაა, საქართველო ტურნირს ოქროს გარეშე არ ამთავრებს. სულ, ჩვენი ქვეყანა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით, ოლიმპიადაზე მერვედ მონაწილეობს. თუმცა, ძიუდოში ერთი „წყევლაც“ გვაქვს – ვერ ვახერხებთ, ოქროს მედალი ორ წონაში მოვიგოთ და ეს მაშინ, როცა წინა ოლიმპიადაზე, ოთხი ფინალი ვიჭიდავეთ, ამ ოლიმპიადაზე კი სამი, მაგრამ მაშინაც და ახლაც, ერთადერთ ოქროს დავჯერდით.

მამარდაშვილმა არაბულ ზღაპარზე უარი თქვა

მოდით, ცოტა შორიდან დავიწყოთ. 2017 წელს, ბრაზილიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ შემტევი, ოსკარ დოს სანტოს ემბოაბა ჟუნიორი, ჩინურ კლუბში – „შანხაი სიპგში“ გადავიდა. სწორედ იმ პერიოდში, ამ კლუბში უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდო და კლუბის მფლობელებმა გაძლიერება მსოფლიო დონის ვარსკვლავებით გადაწყვიტეს. ოსკარი კი, იმ დროისთვის, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა, 26 წლის გახლდათ ანუ იმ ასაკში, როცა კარიერის საუკეთესო წლები უნდა ჰქონოდა. მაშინ, ოსკარის გადაწყვეტილება ბევრმა ვერ გაიგო, მაგრამ ფეხბურთელმა „მარტივად“ ახსნა.

„მოთამაშის კარიერა რამდენიმე წელს გრძელდება. მე ღარიბ უბანში, ღარიბ ოჯახში გავიზარდე და მსურს, სანამ ფეხბურთს ვითამაშებ, იმდენი კაპიტალი დავაგროვო, რომ უზრუნველად ცხოვრება შევძლო“, – განაცხადა ოსკარმა და მართლაც, ჩინელები მას წლიურ ჯამაგირად 60 მილიონ დოლარს, პლუს სარეკლამო შემოსავლებს დაპირდნენ. ჩინეთში წასვლის გამო, ის ვერც ბრაზილიის ნაკრებში ხვდებოდა, მაგრამ არც ამის გამო უნერვიულია და არც იმის, რომ ევროპული ფეხბურთიდან წასვლით, მისი ვარსკვლავური სტატუსიც დაიკარგებოდა. ის, უბრალოდ, ფულის საკეთებლად წავიდა და დღემდე აკეთებს კიდეც.

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მეკარე, გიორგი მამარდაშვილი რომ გახლავთ, კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, საქართველოს ნაკრებისა და ესპანური „ვალენსიას“ კიპერმა, საუდის არაბეთიდან ზღაპრული შეთავაზება მიიღო. არაბები მზად არიან, „ღამურებს“ 45 მილიონი ევრო გადაუხადონ, თავად ფეხბურთელს კი, წლიურ ჯამაგირად 30 მილიონი მისცენ. ამ ანაზღაურებას გიორგის ევროპაში არცერთი კლუბი არ შესთავაზებს. მეტიც, ამის მესამედის მიღებაც კი წარმოუდგენლად ჩანს. ჰოდა, ცდუნება დიდია. თავად განსაჯეთ, სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ, მამარდაშვილი, ლამის, 100 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც ძალიან, ძალიან და კიდევ ერთხელ, ძალიან დიდი ფულია.

როგორც ხედავთ, ცდუნება უზარმაზარია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – არაბეთში წასვლა იმას ნიშნავს, რომ ევროპის საფეხბურთო ცაზე, მამარდაშვილის ვარსკვლავი ჩაქრება და გაქრება. ჰოდა, როგორც ესპანური მედია წერს, მამარდაშვილმა არაბულ წინადადებაზე უარი თქვა და სოლიდური ევროპული კლუბიდან ელის შეთავაზებას. ეჭვი გვაქვს, ამ თვეში უკვე გავიგებთ, რომ გიო ევროპის გრანდში გადავიდა.

კვარაცხელია დარჩა, ოსიმენი ვეღარ მიდის

ყველა ლოგიკით, იტალიური „ნაპოლის“ მთავარი დამრტყმელი დუეტი, ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენის სახით, ამ ზაფხულს უნდა დაშლილიყო. ჯერ ერთი, ქართველის შეძენა არაერთ კლუბს სურდა და მეორეც – ოსიმენის გაყიდვა თავად „ნაპოლის“ უნდოდა, მაგრამ ყველაფერი მალევე შეიცვალა. ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა, მთავარ მწვრთნელად ანტონიო კონტე მოიწვია, მან კი, მთავარ პირობად, სწორედ კვარაცხელიას შენარჩუნება დაასახელა. პარალელურად, კონტეს, ოსიმენის ნაცვლად, „ჩელსიდან“ რომელუ ლუკაკუს გადაბირება სურდა, მაგრამ...

„ოსიმენი არ იყიდება. „ნაპოლი“ მზად არის, ნებისმიერი წინადადება განიხილოს, ადრე ნათქვამ 130 მილიონს დიდი თანხა ჩამოაკლოს, მაგრამ მყიდველი მაინც არ ჩანს და ეს უპირველესად, ნიგერიელის ხასიათის ბრალია. ის უცნაურად იქცევა, არარეალური მოთხოვნები აქვს და „ნაპოლის“ მისი მოშორება ამიტომ უნდა, მაგრამ ასეთი ხასიათის მოთამაშე, არც სხვა კლუბებს სურთ“, – წერს იტალიური მედია.

ცნობისთვის, ოსიმენის გადაბირება არაბულ კლუბს სურდა, მაგრამ ბოლო მომენტში... სწორედ მისი ხასიათის (ან უხასიათობის) გამო გადაიფიქრა.

თუშიშვილი, შესაძლოა, უფრო მკაცრად დასაჯონ

ერთეულთა თანრიგში, ძიუდოისტთა ასპარეზობის ბოლო დღის მთავარი მოვლენა, გურამ თუშიშვილისა და ტედი რინერის წაკამაათება გახლდათ. პრინციპში, რაღა წაკამათება, ჩვენებურმა ლეგენდარული ფრანგი ტატამზე ლამის გალახა და ცოდვა გამხელილი სჯობს, სწორადაც მოიქცა. იმის მიუხედავად, რომ რინერი ლეგენდარული და ყველა დროის საუკეთესო ძიუდოისტია, უღირსად მოიქცა და წაგება ისე არ აღნიშნა, როგორც ამას ღირსეული სპორტსმენი იმსახურებს. ბევრს არ ახსოვს, მაგრამ იმასაც გავახსენებთ, წლების წინ, როგორ მოექცა რინერი ქართველ ლევან მატიაშვილს. ფრანგი შეხვედრას ვაზარით იგებდა, შეხვედრის დასრულეებამდე 3 წამი იყო დარჩენილი და ერთი მატიაშვილი კი არა, ათი რომ მდგარიყო, 3 წამში რინერს ვერაფერს უზამდა. ამიტომ, ლევანი უბრალოდ მიტრიალდა, მარცხს შეეგუა და მიტრიალებულ კაცს, რინერი ზურგიდან ეცა, მოახტა და სუფთაზე დააგდო, მერე წამოხტა და გამარჯვება იზეიმა.

„თუშიშვილის მოქმედება არ იყო სპორტული და ის არ შეესაბამება ძიუდოს სულს. მას ეკრძალება აბსოლუტურად ყველა შეჯიბრზე გასვლა, სანამ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაა არ იმსჯელებს და ქართველ ძიუდოისტს შესაბამის სასჯელს არ დააკისრებს“, – ნათქვამია ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის განცხადებაში.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დიდია შანსი იმისა, გურამს მომდევნო ერთი წელი გამოატოვებინონ, რაც მისი კარიერისთვის ძალიან, ძალიან ცუდი იქნება.

კანკავა და კვეკვესკირი გუნდების გარეშე არიან

ქართული კლუბებიდან ევროთასებს მხოლოდ ერთი შემორჩა – თბილისის „იბერია 1999“, რომელიც 8 აგვისტოს, კონფერენსლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, თურქულ „ბაშაკშეჰირს“ შეხვდება. ცნობისთვის, ქართულ კლუბს შინაურ კედლებში მოგებაზე 7.00 კოეფიციენტი აქვს, რაც ძალიან მაღალია ანუ ჩვენი გუნდი უსუსტესად მიაჩნიათ, მაგრამ ახლა სხვა რამეზე გვინდა მოგითხროთ.

ქართული კლუბების უმრავლესობას, ყველაზე ცოტა, 5-6 ლეგიონერი ჰყავს შემადგენლობაში და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მათი უმრავლესობა არ ბრწყინავს. ამ დროს კი, ქართველ მოთამაშეებს თავის გამოჩენის ნაკლები შანსი ეძლევათ და შანსს ვინ ჩივის, მწვრთნელები თუ ხელმძღვანელები, ქართველებით დაინტერესებას ნაკლებად გამოხატავენ. ახლა, შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, რომ თუნდაც დაბალი დონის უცხოელი ქართველს სჯობს, მაგრამ აგერ, ორი მაგალითი – ჯაბა კანკავა და ნიკა კვეკვესკირი – ისინი კლუბების გარეშე არიან, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობენ და ნებისმიერ გუნდს მათი დამატება, სრულიად უფასოდ, თავისუფლად შეუძლია, მაგრამ ამას არ აკეთებენ. მეტიც, დარწმუნებულები იყავით, რომ ორივე მათგანი დათანხმდება იმ ანაზღაურებაზე თამაშს, რომელსაც აქ მყოფი ლეგიონერები მიღებენ და მათი გამოცდილება ახალგაზრდებს ძალიან წაადგებათ. კანკავა შრომისმოყვარეობისა და თავდადების მაგალითია, კვეკვესკირმა კი ყველას დაანახა, რომ მოედანზე ცივსისხლიანობა საჭიროა და საჭირო დროს, მეტად სასარგებლოც – სწორედ მან გაუტანა ბერძნებს ის გადამწყვეტი პენალტი, რომელმაც შემდეგ დაუვიწყარი ზღაპარი გვაჩუქა, ის ზღაპარი, რასაც საქართველოს ნაკრების გერმანიაში მოგზაურობა ერქვა.

აგვისტოს ომის კოშმარული ქრონიკები

მე-5 გვერდიდან

შუამავლის როლი კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ოსურმა მხარემ ცეცხლი შეწყვიტა. იური პოპოვი აცხადებს, რომ 8 აგვიტოს თემურ იაკობაშვილისა და ბორის ჩოჩიევის შეხვედრა გაიმართება. მარატ კულახმეტოვი აცხადებს, რომ **„თბილისი და ცხინვალი ორმხრივ შეხვედრამდე, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმდნენ“.** სააკაშვილი ცხინვალში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთის ქვეყნების ლიდერებთან სატელეფონო დიალოგს იწყებს. საღამოს ოსურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვია. შეტევა დაიწყო სოფელ თამარაშენზე. არის მსხვერპლი. 23:30 საათზე, ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანი, სამშვიდობო ჯარების სარდალ ყურაშვილის განცხადებით, რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარება იყო. ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, რუსეთის 58-ე არმია, როკის გვირაბით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა.

8 აგვისტო – ოსური მხრიდან ცეცხლი არ წყდება. ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას. არის მსხვერპლი.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები“ და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. 09:30 საათზე, პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. როკის გვირაბის გავლით შემოსული ასობით შეიარაღებული პირი და სამხედრო ტექნიკა საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. საქართველოს მთავრობა მოუწოდებს სეპარატისტებს, შეწყვიტონ შეიარაღებული მოქმედებები. 11:40 საათზე, სააკაშვილის ბრძანებით, ქართული სარეზერვო ჯარების მობილიზაცია გამოცხადდა. საქართველოს მთავრობა: **„შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თავდასხმის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება იძულებულია, ადეკვატური ზომები მიიღოს“.** ქართულმა ქვედანაყოფებმა სამი სოფელი – მუგუთი, დიდმუხა, დმენისი დაიკავეს და ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. პირველი განცხადება ვაშინგტონიდან: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი, გონსალო გალეგოსი აცხადებს, რომ ვაშინგტონი მოუწოდებს რუსეთს, **„გავლენა მოახდინოს სეპარატისტებზე, რათა სროლები შეწყდეს“.** ინტენსიური ბრძოლები სოფელ ტყვიავში მიმდინარეობს. ქართული მხარე მზად არის, მოლაპარაკებათა მაგიდას კვლავ დაუბრუნდეს. საქართველოს სახედრო შენაერთები კონფლიქტის ზონის რვა ქართულ სოფელს – დმენისს, მუგუთს, დიდმუხას, სარაბუკს, ზემო ნიქოზს, ატოცსა და ქვემო და ზემო ოქონას სრულად აკონტოლებენ. ცხინვალის მისადგომებთან არსებულ თითქმის ყველა სტრატეგიულ სიმაღლესა და სოფელში ქართული დროშა ფრიალებს. ქართული ქვედანაყოფები ქალაქ ცხინვალში შევიდნენ. კოკოითი ჯავის რაიონში, საგანგებო შტაბში იმყოფება. რუსული ავიაცია ქართული ქალაქების დაბომბვას იწყებს. საქართველოს საელჩოს შენობას მოსკოვში ე.წ. ომონი ალყაში აქცევს. საელჩო მუშაობას აგრძელებს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს უკან დაეწიათ რუსეთის 58-ე არმიის ნაწილები, რომლებსაც როკის გვირაბიდან ჯავის რაიონში გადაადგილების მცდელობა ჰქონდათ. ქართულ არმიას 10 დაქირავებული მებრძოლი ჩაბარდა. ქართული მხარე კონფლიქტის რეგიონის 70% აკონტროლებს. საქართველოს ხელისუფლება 15:00-დან 18:00 საათამდე, სროლაზე მორატორიუმს აცხადებს და ერგნეთში გაკეთებული დერეფნით მშვიდობიან და არა მარტო მშვიდობიან მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტიებს, გორში გადმოსვლასა და დაბინავებას სთავაზობს. რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ორი ბომბი ჩამოაგდო. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა მარნეულის სამხედრო აეროდრომი და ვაზიანის სამხედრო ბაზა დაბომბა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიის დანაყოფები ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას მსოფლიო ლიდერებს აცნობს. საქართველოს პარლამენტი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ქართული მხარე მკაცრად იცავს მორატორიუმის პირობებს და ცეცხლის არ ხსნის. რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო 00:00 საათიდან, საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას წყვეტს. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა სამჯერ დაბომბეს მარნეულის

საავიაციო ბაზა. არის მსხვერპლი. საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პრეზიდენტი და საერთაშოროსო ორგანიზაცია და რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. რუსეთის სამხედრო ტექნიკა ჯავაში განლაგდა. ისინი ქართული არმიის ალყის გარღვევას ცდილობენ. შექმნილ მდგომარეობაზე ევროკავშირის „ტროიკაც“ მსჯელობს.

9 აგვისტო – რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა სენაკის სამხედრო ბაზა და ფოთის პორტი დაბომბა. არის მსხვერპლი. დაიღუპა 13 ქართველი ჯარისკაცი და ათზე მეტი დაიჭრა. ორმა რუსულმა მოიერიშემ გორთან ქართული არტილერიის პოზიციები დაბომბა. ხუთი ადამიანი დაიღუპა, ქალაქ გორში ბომბი საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა. რუსეთის საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე საჰაერო დივიზია ცხინვალში შევიდა. ქართული მხარის განცხადებით, ჩამოგდებულია 10 რუსული მოიერიშე თვითმფრინავი. 11:10 საათზე, საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. საქართველოს პარლამენტმა 90 ხმით 0-ის წინააღმდეგ, ერთხმად დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. 12:30 საათზე, სამხრეთ ოსეთში რუსებმა საპარაშუტო დესანტი გადმოსხეს. პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ გამოსვლაში მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. 13:41 საათზე, რუსეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს კოდორის ხეობა. ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრი, პეტრას ვაიტიეკუნასი გორის რეგიონში ჩადის. ვაიტეკუნასის განცხადებით, ნგრევისა და მსხვერპლის რაოდენობა შოკის მომგვრელია. „ამერიკის ხმა“ საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობას აორმაგებს. გაერო-ს უშიშროების საბჭომ, შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ერთიანი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. კვლავ დაიბომბა ფოთი. საქართველო ერაყიდან ათასი სამხედრო მოსამსახურის უკან გამოწვევის გადაწყვეტლებას იღებს. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან გადაჭრაში დახმარებას სთხოვს. რუსეთის სამხედრო ავიაცია ლიახვის ხეობის ცხრავე სოფელს ბომბავს. არის მსხვერპლი. ხეობაში დარჩენილი მოსახლეობა შველას ითხოვს.

საქართველოში იწყებენ ჩამოსვლას სხვადასხვა საერთაშოროსო ორგანიზაციების დამკვირვებელთა ჯგუფები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის სამხედრო აგრესია ე.წ. „ჰუმანიტარული დახმარების“ და „მშვიდობისათვის იძულების ოპერაციის“ საფარქვეშ მიმდინარეობს. ცხინვალში ბრძოლები მძაფრდება. რუსეთის სამხედრო ავიაციამ ონის რაიონის სოფლები – წედისი და ბარი დაბომბა. არიან დაღუპულები და დაჭრილები. ჯორჯ ბუშმა რუსეთს მოუწოდა, შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს პირველი პირი აცხადებს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულია 55 ადამიანი, მათ შორის, 15 მშვიდობიანი მოქალაქე, 40 კი სამხედრო მოსამსახურე. რუსეთის ბომბდამშენებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საერთაშორისო ნავთობსადენზე იერიში მიიტანეს. „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები კონფლიქტის ზონაში დაჭრილების დასახმარებლად ვერ შედიან. რუსულმა ავიაციამ ზემო აფხაზეთის სოფლები – ომარიშარა, საკენი, ქვაბჩარა და ჩხალთა დაბომბა. ქართულმა მხარემ როკის გვირაბზე იერიში მიიტანა. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს სამთავრობო ძალები ცხინვალსა და მის შემოგარენს აკონტროლებენ.

10 აგვისტო – 06:20 საათზე, საქართველომ ცეცხლის შეწტყვეტა მოითხოვა და რუსეთს მოლაპარაკება შესთავაზა. ნიკოლა სარკოზიმ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების დასარეგულირებლად შეიმუშავა გეგმა. ვლადიმერ პუტინმა პეკინის ოლიმპიადაზე ვიზიტი შეწყვიტა და ჩრდილოეთ ოსეთში ჩავიდა. მან საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალის რეგიონიდან სამხედრო ნაწილების გამოყვანა მოსთხოვა. პუტინი აცხადებს, რომ საქართველოს ქმედებები დანაშაულებრივია, რუსეთის ქმედებები კი – სრულად ლეგიტიმური. საქართველოს საჯარისო შენაერთები მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს, მის ირგვლივ ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს. რუსული ავიაცია და არტილერია ცხინვალის დაბომბვას იწყებს. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა, ალექსანდრე ლომაიამ საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურა, რომ რუსული არმიის უპრეცედენტო შეტევის შედეგად, საქართველოს ჯარის ნაწილებმა ქალაქ ცხინვალის მისადგომებთან გადაინაცვლეს. საქართველოს მთავრობამ აფხაზ ხალხს მიმართა, ნუ აჰყვებიან რუსეთის პროვოკაციებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მიერ, სამხრეთ ოსეთში სიტუაციის განმუხტვისათვის შემუშავებულ სამეტაპიან გეგმას ჩამოიტანს. სერგეი ბაღაფში საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აფხაზეთის სანაპიროზე, რუსეთის საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტი იმყოფება. იმავე დღესვე, რუსებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დაბომბეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ამ განცხადებას საქართველოს „კიდევ ერთი დეზინფორმაცია“ უწოდა. 22:00 საათზე, საქართველო დათანხმდა რუსეთის სამშვიდობოების შესვლას ზუგდიდში. მსოფლიოს ლიდერები რუსეთისგან ცეცხლის შეწყვეტას ითხოვენ. ევროპის ქვეყნებში, რუსეთის საელჩოების წინ, საპროტესტო აქციები იმართება. რუსეთის ავიაცია გორსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ბომბავს. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს შეიარაღებული ჯარები სამხრეთ ოსეთში ცეცხლს შეწყვეტენ. რუსული ავიაცია საავიაციო ქარხანა „თბილავიამშენის“ ტერიტორიას ბომბავს. ოფიციალური მონაცემებით, 94 ადამიანია დაღუპული, მათ შორის, 47 – სამხედრო და 47 – სამოქალაქო პირი. ევროპის სხვადასხვა ლიდერები საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით გამოდიან. ზემო აფხაზეთს რვა რუსული ბომბდამშენი ინტენსიურად ბომბავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კიანუ რივზი წიგნს წერს

ყველასათვის საყვარელი ჰოლივუდელი მსახიობი კიანუ რივზი, სულ მალე, მწერლის ამპლუაში მოგვევლინება. რივზის თქმით, წიგნის წერა მას საკუთარ მოკვდავობაზე ფიქრმა დააწყებინა. „მატრიცას“ ვარსკვლავის პირველი რომანი, სახელწოდებით – The Book of Elsewhere, ბრიტანელ სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალთან, ჩაინა მივილთან თანამშრომლობით გამოვა. წიგნში მოთხრობილი იქნება ისტორია უკვდავ მებრძოლზე, რომელიც სიკვდილზე ოცნებობს. რომანი რივზის ცმობილ კომიქსს BRZZKR (Berserker) ეფუძნება. ის გეგმაში „ნეტფლიქსსაც“ აქვს და ამავე სიუჟეტით ანიმეც შეიქმნება. როგორც მსახიობის თაყვანისმცემლები აღნიშნავენ, კომიქსსა და რივზის რეალურ ცხოვრებას შორის ბევრი მსგავსებაა. ვარსკვლავის თქმით, ამ ფაქტს ისიც ეთანხმება და აღნიშნავს, რომ კომიქსში ძალადობრივი სცენების სიმრავლე მისი შესრულებული როლებით არის განპირობებული.

„ქურდი“ თოლია შავ სიაში შეიყვანეს

თოლია, სახელად სტივენი, დიდი ხანია, ცნობილია ბრიტანეთში, დორსეტის საგრაფოში – ის რეგულარულად სტუმრობს სუპერმარკეტებს, განსაკუთრებით, Lyndale Central-ს, უაიკ-რეჯისში და იქიდან მისთვის საყვარელ ჩიფსებს იპარავს. ამის გამო, ფრინველი მაღაზიამ შავ სიაში შეიყვანა. თანამშრომლებმა შენობაში პლაკატებიც განათავსეს, რომელიც კლიენტებს მოუწოდებს, შესვლა-გასვლისას კარი დახურონ, რათა ეს ბუმბულიანი „ქურდი“ თავიდან აიცილონ. სტივენი სუპერმარკეტში უკვე ექვსი წელია „დადის“ და იქიდან ხელცარიელი არადროს მიფრინავს. მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში, თოლიამ 30-მდე შეფუთვა ჩიფსი გაიტაცა. ნადავლს ის გარეთ, მეგობარ ფრინველებს უნაწილებს. მაღაზიაში ცდილობენ, თოლიას საყვარელი ჩიფსი დამალონ – ქვედა თაროზე ცხარე სასუსნავები განათავსეს, თუმცა ფრინველი საყვარელ საჭმელს მაინც პოულობს.

ბრიტანეთმა ხელოვნური ხორცის გამოყენება დაამტკიცა

ნისლიანი ალბიონი პირველი ქვეყანა გახდა ევროპაში, სადაც სამომხმარებლო ბაზარზე ცოცხალი უჯრედებიდან კულტივირებული ხელოვნური ხორცი დაუშვეს. ჯერჯერობით, მისი გამოყენება მხოლოდ ცხოველებისთვის განკუთვნილ საკვებშია ნებადართული. ბრიტანელმა რეგულატორებმა ხელოვნური ხორცის ადამიანის საკვებად გამოყენებაზე ჯერ თავი შეიკავეს, თუმცა ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგეს ისრაელში, სინგაპურსა და აშშ-ში. სტარტაპი Meatly-ი მალე დაიწყებს ლაბორატორიაში გამოყვანილი ქათმის ხორცის მიწოდებას შინაური ცხოველების საკვების მწარმოებლებისთვის. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, რომელიც ვინჩესტერის უნივერსიტეტმა ჩაატარა, რესპონდენტთა 50% მზად არის, საკუთარი შინაური ცხოველები გამოკვებოს ხელოვნური ხორცით, 32% კი აცხადებს, რომ მას თავადაც მიირთმევდნენ. ხელოვნური ხორცის წინააღმდეგია იტალიის, საფრანგეთისა და ავსტრიის მთავრობები, ასევე, აშშ-ის ზოგიერთი შტატის კანონმდებლები. ფლორიდასა და ალაბამაში პირდაპირი აკრძალვებია ასეთი პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვაზე.

სკოლებში ყოველნაირი გაჯეტი აკრძალეს

აპენინებზე, დაწყებით და საშუალო სკოლებში, ყოველნაირი მობილური ტელეფონი აიკრძალა. ინფორმაცია „ევროპულსმა“ გაავრცელა. ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს, თუნდაც საგანმანათლებლო მიზნით, გაკვეთილის დროს გაჯეტებში ჩახედვის საშუალება აღარ ექნებათ. პლანშეტებისა და კომპიუტერების გამოყენება მხოლოდ მასწავლებლების მითითებით იქნება შესაძლებელი. მართალია, იტალიის სკოლებში მობილურები ჯერ კიდევ 2007 წლიდან არის აკრძალული, მაგრამ გაჯეტებს მაინც იყენებდნენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ქვეყნის განათლების მინისტრის თქმით, ტელეფონების გამო, ბავშვებს კალმით ნორმალურად წერა არ შეუძლიათ. ეს მაშინ, როცა ტრადიციული წერა კოგნიტურ უნარებს – მესხიერებას და სწავლის უნარს აუმჯობესებს. ახალი სასწავლი წლიდან, სკოლაში მხოლოდ ქაღალდის სასკოლო დღიურებს გამოიყენებენ, საშინაო დავალებებს კი ხელით ჩაიწერენ.

აუქციონზე ცნობილების ავტოგრაფები გაყიდეს



XX საუკუნის ყველაზე ცნობილი ადამიანების ავტოგრაფების კოლექცია ინგლისში, აუქციონზე, 100 ათას დოლარად გაიყიდა. ყველაზე ძვირად მყიდველებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ლიდერის, მაო ძედუნის ხელმოწერილი წერილი შეაფასეს. ის 28 ათას დოლარად გაიყიდა. მისალოცა ბარათში ლივერპულელი ოთხეულისგან, რომელზეც ლენონის, მაკარტნის, ჰარისონისა და რინგო სტარის ხელმოწერებია, 7 ათასი დოლარი გადაიხადეს. აუქციონზე წარდგენილ კოლექციაში იყო ბობ მარლის, ნელსონ მანდელას, ჯიმ მორისონის ხელმოწერები. კოლექციის მფლობელმა განაცხადა, რომ აუქციონიდან მიღებული თანხა მთლიანად ქველმოქმედებაში დაიხარჯება.

საფასურის გადახდას ნაგვით სთავაზობენ

ინდოეთის ქალაქ ამბიკაპურში, ქვეყანაში პირველი „ნაგვის კაფე“ გაიხსნა, სადაც კერძების მირთმევის შემდეგ, კლიენტებს შეუძლიათ, საფასური საკუთარივე ნარჩენებით გადაიხადონ. ასეთი უჩვეულო ბარტერის მიზანი ღარიბებისა და უსახლკაროების საკვებით უზრუნველყოფა, პლასტმასის ნარჩენების შემცირება და ქუჩების სისუფთავის დაცვაა. ყოველი ერთი კილოგრამი ნაგვისთვის, კაფეს სტუმრები უფასო საჭმელს მიიღებენ, 500 გრამ პლასტმასის ნარჩენებში კი სრულფასოვანი საუზმის მიღებაც შეუძლიათ. ეს კამპანია ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივაა. მოგროვილი პლასტმასის ნარჩენები გადამუშავდება და მას გზების მშენებლობაში გამოიყენებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი „ნაგვის კაფეები“ უკვე მუშაობს ამერიკისა და ევროპის ზოგიერთ ქალაქში, ასევე, კამბოჯაშიც.

საკეისრო კვეთა აუტიზმის რისკს ზრდის

საკეისრო კვეთა ბავშვებში აუტიზმის განვითარების რისკს ზრდის, – ასეთ დასკვნებს აკეთებენ შვედი სპეციალისტები, კაროლინის ინსტიტუტიდან. მათ კვლევაში, დაახლოებით, 20 მილიონი ქალი მონაწილეობდა, მსოფლიოს 19 ქვეყნიდან. მათ შორის იყვნენ ისინი, რომლებმაც ბუნებრივად იმშობიარეს და ისინიც, რომლებმაც ქირურგების ჩარევით გააჩინეს ბავშვები. აღმოჩნდა, რომ ბავშვებში, რომლებიც ხელოვნური ჩარევით მოევლინენ ქვეყანას, 33%-ით მეტი აუტისტია, გარდა ამისა, მათ შორის 17%-ით უფრო ხშირად გვხვდება ყურადღების დეფიციტის სინდრომი და ჰიპერაქტიურობა. სწავლულთა მოსაზრებით, ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს ახალშობილის კონტაქტს დედის მიკროფლორასთან, რაც ბუნებრივი მშობიარობისას ხდება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამის გამო, შესაძლოა, დაირღვეს პატარას იმუნური სისტემის განვითარება და ნეგატიურად აისახოს ტვინის მუშაობაზე.

ანტიბიოტიკი დედის რძეზე დაამზადეს

დიდ ბრიტანეთში, დედის რძის საფუძველზე, ანტიბიოტიკი შექმნეს, რომელიც ვირუსებისა და ბაქტეროების გამანადგურებელ აქტიურ ცილებს შეიცავს. ამასთან, რძის სასარგებლო ნოვთიერებები არავითარ ზიანს არ აყენებს ორგანიზმის უჯრედებს. კერძოდ, ახალი პრეპარატი წარმატებით ანადგურებს ნაწლავის ჩხირსა და ოქროსფერ სტაფილოკოკს. დედის რძის სასარგებლო თვისებების შესწავლა კვლავ გრძელდება. ბრიტანელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველმხრივი ანალიზებისა და ექსპერიმენტების შემდგომ, შესაძლებელი იქნება უფრო ეფექტური პრეპარატის შემუშავება, ვიდრე დღეს არსებული ანტიბიოტიკებია.

ყველაზე პატარა მუზეუმი

ის შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში მდებარეობს. Hoosesagg Museum – ითარგმნება, როგორც „ჯიბის მუზეუმი“ და მსოფლიოში ყველაზე პატარაა. მის მოსანახულებლად ფულის გადახდა არ არის საჭირო, არც შიგნით შესვლა მოგიწევთ, რადგან მთელი ექსპოზიცია 600-წლიანი სახლის ფანჯარაშია გამოფენილი. სახლი კი Imbergasslein, 31-ის მისამართზე მდებარეობს. ექსპოზიციის შედგენით, სახლის მფლობელი მათიასია დაკავებული, მისი მეუღლე დაგმარი კი ადმინისტრაციულ ნაწილს ხელმძღვანელობს. მუზეუმის შექმნის იდეა დაგმარის გატაცებამ – წვრილმანი ნივთების კოლექციონერობამ მოიტანა. მუზეუმის ექსპონატები უმნიშვნელო, მაგრამ საყვარელი ნივთებია: სათამაშოები, სუვენირები, ბოთლის საცობები და სხვა.

ქორწილის სტუმრები ნარჩენებზე აქეიფეს

დიდ ბრიტანეთში, სიძე-პატარძალი ქორწილის სტუმრებს საკვები ნარჩენებით გაუმასპინძლდა. კეილი და ჯო ტილსტონების საქორწინო ცერემონიის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, სუფრა რესტორნების კერძების ნარჩენებით გააწყვეს. მენიუში იყო ზღვის პროდუქტები, ხარის ხორცი, ღორის ნეკნები, ქათამი, ასევე, ვეგანური და უგლუტენო კერძები. ახალდაქორწინებულებმა ინგრედიენტების წარმომავლობა საიდუმლოდ შეინახეს. მხოლოდ ბანკეტის ბოლოს გაუმხილეს სტუმრებს, რომ სუფრა ნარჩენებისგან მომზადებული კერძებით გააწყვეს. ამ ინფორმაციამ ბევრი შოკში ჩააგდო, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ყველაფრის მიუხედავად, კერძების დამატება მოითხოვეს. კეილისა და ჯოს თქმით, აუცილებელია ნარჩენების შემცირება, მათი გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების გზით. გარდა ამისა, საქორწილო სუფრა ჩვეულებრივზე ხუთჯერ იაფი დაუჯდათ.

ჰალსტუხი – ბალიშის ნაცვლად

გადაღლილ იაპონელ მუშაკებს, სულ მალე, შესაძლებლობა ექნებათ, ჩათვლიმონ საკუთარ ოფისებში – ახალი გამოგონების წყალობით, ამას სიამოვნებით გააკეთებენ, რადგან სპეციალისტების მიერ შექმნილი ჰალსტუხი ბალიშადაც გამოდგება. ძილისთვის განკუთვნილი ახალი აქსესუარი უნიკალური გასაბერი მოწყობილობაა, რომელიც დაღლილ იაპონელებს სამსახურის მაგიდასთან კომფორტულად ძილის საშუალებას მისცემს. ის ჩვეულებრივი ჰალსტუხის მსგავსია, თუმცა უკანა მხარეს, კისერთან ჩასაბერია ჩამალული. მისი საშუალებით, ჰალსტუხი ჰაერით ივსება და ბალიშივით ხდება. აქსესუარი აბრეშუმისა და სპეციალური მიკრობოჭკოებისგან არის დამზადებული, რომელთა წყალობით, ბალიში ზაფხულის ცხელ დღეებში სიგრილეს ინარჩუნებს. მწარმოებელი კომპანია სამიზნე აუდიტორიად ოფისების თანამშრომლებს მიიჩნევს, რომლებიც სიამოვნებით წაუძინებდნენ ხანმოკლე შესვენების დროს. ამჟამად, ჰალსტუხი-ბალიშის ყიდვა, ამომავალი მზის ქვეყანაში, 2500 იენად არის შესაძლებელი.

რესტორანი ნივთებსაც მოგყიდით

ბევრ ადამიანს, ალბათ, რესტორანში გასჩენია გრძნობა, რომ კერძი, რომელსაც მიირთმევს, ლამაზი თეფშის გამო, უფრო გემრიელად ეჩვენება. ზოგჯერ ჩნდება სურვილიც, რომ ასეთი ჭურჭლის პატრონი გახდეთ. ერთმა ლონდონურმა რესტორანმა გადაწყვიტა, ასეთ კლიენტებს გული არ დასწყვიტოს. Coal Office-ში, მათ შეუძლიათ, ნებისმიერი მოწონებული ნივთი, ვახშმის შემდეგ შეიძინონ. დაწესებულება, რომელიც ცნობილმა დიზაინერმა ტომ დიქსონმა გააფორმა, სტუმრებს უნიკალურ გასტრონომიულ სიამოვნებას ჰპირდება და აქრობს ზღვარს საჭმელსა და დიზაინს შორის. კლიენტებს შეუძლიათ, ყველაფერი იყიდონ – თეფშებიდან და ბოკალებიდან დაწყებული, სანათებითა და იმ მაგიდებით დამთავრებული, რომლებზეც კერძებს მიირთმევენ.

ფულის გამო, უხელოდ დარჩა

ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის პოლიციამ ტაივანელი მამაკაცი აფერის გამო დააკავა: მან განაცხადა, რომ თავს დაესხნენ და ხელის მოჭრას შეეცადნენ, რათა „როლექსის“ მარკის საათი წაეღოთ. სინამდვილეში, ჰუ ში იანი თავად შეეცადა ხელის მოჭრას, რომ დაზღვევის თანხა – ერთი მილიონი დოლარი მიეღო. თუმცა, მამაკაცმა უარყო სამართალდამცავების ბრალდება და კვლავ ამტკიცებდა, რომ თავს დაესხნენ. ხელი კი ისე ძლიერ ჰქონდა დაზიანებული, რომ მედიკოსებმა ვეღარაფერი უშველეს და მისი ამპუტაცია მოუხდათ. დაზარალებულ-ბრალდებული პოლიციამ თავდებით გაათავისუფლა, თუმცა მისთვის მოკვეთილი ხელის დაბრუნებაზე უარი განაცხადა. გამომძიებლები მას მტკიცებულებად შეინახავენ, ვიდრე საქმე არ დაიხურება.

ფულს დაცემინებით შოულობს

ბრიტანელმა სტუდენტმა აღმოაჩინა, რომ დაცემინებით უფრო მეტ ფულს შოულობს, ვიდრე ოფიციანტად მუშაობით. 18 წლის ები ჰეივუდი, ლიდსის სამხატვრო სკოლაში სწავლობს. ერთხელ, ხატვის დროს, სამ საათში, მან 37-ჯერ დააცემინა. მისი ვიდეო „იუთუბზე“ აიტვირთა და მოლოდნელად პოპულარული გახდა. გოგონა მიხვდა, რომ ამ გზით ფულის შოვნა შეიძლებოდა და გადაწყვიტა, ეს პროცესი კამერით გადაეღო და ჩანაწერი გაეყიდა. ფეტიშისტები ას გირვანქა სტერლინგამდე იხდიან ვიდეოსთვის, რომელშიც ები მათ თხოვნას ასრულებს – აცემინებს და ფეხებს აჩვენებს, ან აცემინებს და რაღაცას ამბობს და ასე შემდეგ. ჰეივუდი ამტკიცებს, რომ შეუძლია, ხუთ წუთში, 11-ჯერ დააცემინოს. ამ ვიდეოებში გადახდილი ფულით ის სწავლის საფასურს იხდის და არ ეშინია, რომ უფულობის გამო, სწავლის მიტოვება მოუწევს.

ერთგულების აბები შექმნეს

მამაკაცებს ამიერიდან საშუალება აქვთ, მხოლოდ მათი ერთგული საყვარელი ქალი ჰყავდეთ. ამაში მათ ახალი აბები – Female Fidelity (ქალის ერთგულება) დაეხმარება. პრეპარატი იტალიელმა სწავლულებმა ფლორენციის ინსტიტუტში შექმნეს და შედგება ტესტოსტერონისა და ნეიროსტიმულატორებისგან. წამლის მოქმედების პრინციპი ჰორმონალური კორექციის რეგულაციაზეა დაფუძნებული, ამიტომ აბები მხოლოდ ქალებზე მოქმედებს. „ქალის ერთგულების“ აბების შემქმნელების აზრით, მეუღლისთვის ღალატის სურვილი მხოლოდ ენდოკრინულ სისტემაში კომპლექსური ტრანსფორმაციის შედეგია. შესაბამისად, ამ სფეროზე ზემოქმედებით, მამაკაცს შეუძლია, რჩეულის ერთგულება მოიპოვოს. რასაკვირველია, არასასურველია საყვარელი ქალი დიდი ხნის განმავლობაში „გაჭყიპოთ“ ამ პრეპარატით, რადგან ეს მის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად იმოქმედებს, მაგრამ ერთეული „ექსტრემალური სიტუაციებისთვის“, შესაძლოა, ეს გონივრული გადაწყვეტილება იყოს.

პოლიციამ ექსტაზი დაარიგა

სუნამოების არომატებს კიდევ ერთი ახალი შეემატა – ნიდერლანდების მოქალაქეებს შორის, ექსტაზის სურნელის მქონე ფლაკონები ვრცელდება, თუმცა პოლიცია ამის წინააღმდეგი არ არის, რადგან თავად არიგებს ამ პარფიუმს. ეს უჩვეულო კამპანია ჩრდილოეთ ბრაბანტის პროვინციაში მიმდინარეობს. ახლა ჰოლანდიის მოქალაქეები სულ ადვილად შეძლებენ, გაარჩიონ ნარკოლაბორატორიის სუნი, ამის შესახებ სამართალდამცავებს შეატყობინონ და თავიდან აიცილონ ნეგატიური შედეგები. ბევრმა ადამიანმა არც იცის, რა საშიშროებას ქმნის ნარკოწარმოება – არსებობს აფეთქების. ან ტოქსიკური აირების დაგროვების საფრთხე. ადგილობრივი პროკურორი აპირებს, აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით, ბრაბანტის პროვინციაში, ყველაზე მეტი ნარკოლაბორატორიაა თავმოყრილი. გასულ წელს, პოლიციამ ასეთი 127 „საწარმო“ დახურა.

სპა-ცენტრი ჩვილებისთვის

ავსტრალიის ქალაქ პერტში, სპა-ცენტრი გაიხსნა პატარებისთვის, რომელთა ასაკი ორი დღიდან ექვს თვემდეა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ცენტრი პირველად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამოქმედდა. ავსტრალიელ ჩვილებს სპეციალისტები სთავაზობენ ჰიდროთერაპიისა და მასაჟის სეანსებს, 85 დოლარად (65 აშშ დოლარი). ბავშვებს სპეციალურ გასაბერ რგოლებში სვამენ, რაც მათ წყალზე უპრობლემოდ გაჩერებაში ეხმარება. ცენტრის დირექტორის თქმით, პირველივე დღეებიდან, წყლის პროცედურები პატარების ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს. რეგულარული ვიზიტი აუმჯობესებს გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მდგომარეობას.

„ხელოვნური ენა“ დეგუსტაციისთვის

გლაზგოს უნივერსიტეტის სწავლულბმა შექმნეს სენსორი, რომელიც ამოიცნობს ვისკის იშვიათ სახეობებს. სენსორი, რომელსაც „ხელოვნურ ენას“ უწოდებენ, შუქის მიერ სითხეების შეწოვის ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული. ყოველ სითხეს ინდივიდუალური „ანაბეჭდი“ აქვს. მოწყობილობას შეუძლია, 99%-იანი სიზუსტით ამოიცნოს უმცირესი განსხვავებაც კი. მაგალითად, შერის თუ რომის კასრშია დაყენებული ვისკი, – აცხადებენ სპეციალისტები. „ხელოვნურ ენას“ შეუძლია, განსაზღვროს სასმელის ასაკი, თუნდაც ის დაბეჭდილ ბოთლში ესხას. მკვლევარებმა მსგავსი სენსორი ადრეც შექმნეს, თუმცა პირველად არის, რომ მოწყობილობა ორი სხვადასხვა მეტალით მუშაობს, რაც უფრო სწრაფი და ზუსტი ანალიზის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ სენსორი მხოლოდ ვისკისთვის არ გამოიყენება – მას სხვა სასმელების „დეგუსტაციაც“ შეუძლია.

უპატრონო ძაღლები „დაასაქმეს“

ჩილეში, ქალაქ კილპუეს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მზრუნველობა გამოიჩინოს უპატრონო ცხოველებზე. ამ მიზნით, მათ მაწანწალა ძაღლები გაწვრთნეს და პოლიციელთა რიგებში დაასაქმეს. უპატრონო ძაღლები ახლა სამართალდამცავთა სპეციალურ ფორმას ატარებენ და პოლიციელებს ქუჩაში წესრიგის დამყარებაში ეხმარებიან. „ამ პრესტიჟული „სამუშაოს“ გარდა, ძაღლებს ახლა საცხოვრებელი ადგილი და საკვებიც აქვთ – ისინი სრული სოციალური პაკეტით სარგებლობენ. წვრთნების შემდეგ, ცხოველები ისევ ქუჩას უბრუნდებიან, თუმცა ახლა უკვე დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, – აცხადებს ქალაქის მერი და დასძენს, – ეს საუკეთესო მაგალითია იმისთვის, რომ ცხოველებმა მეორე შანსი მიიღონ და საზოგადოებას სარგებელიც მოუტანონ“.

ბოსტნეულის დაჭრა გეზარებათ?

თქვენს ნაცვლად, ამას მზარეულ-დამჭრელი გააკეთებს. ახალი სერვისი ნიუ-იორკის სუპერმარკეტში – Whole Foods ამოქმედდა, რომელიც კლიენტებს, პირველად მსოფლიოში, მცენარეული პროდუქტების დამუშავებას სთავაზობს. ზოგი ადამიანი ცოტა ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევს, ზოგს არ უყვარს, ან არ იცის მათი გათლა და დაჭრა. სპეციალური მომსახურება, ასევე, გათვლილია ვეგეტარიანელებსა და იმ ადამიანებზე, რომლებსაც ამ საქმეზე დროის დაკარგვა არ სურთ. მზარეული, რომელიც პროფესიონალურად ფლობს დანას, გარეცხავს, გათლის და დაჭრის კლიენტის მიერ სუპერმარკეტში ნაყიდ ხილსა და ბოსტნეულს. დაჭრის მეთოდი სხვადასხვაგვარია: კუბები, ჩხირები, ან უბრალოდ, ძალიან წვრილად დაქუცმაცებული. მზარეულს შეუძლია, თავად აირჩიოს დაჭრის მეთოდი, გააჩნია, რის მომზადება სურს კლიენტს. მომსახურების ღირებულება ერთი დოლარია – 450 გრამ ნედლეულზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.